# საერთო გაზეთი

№38 (543) • 6 ნოემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ბიძინა ივანიშვილის ფენომენი



ერთხელ
დავსვი ეს კითხვა
და კიდევ გავიმეორებ:
რა დარჩება
საქართველოსგან,
თუ მას
ბიძინა ივანიშვილის
მიერ გაკეთებულ
საქმეებს
გამოვაკლებთ?
გამოაკელით
და ნახავთ
რა სავალალო
სურათს მივიღებთ...




**ლუკა კურტანიძე:** პირადად მე, იმ ადამიანებისთვის, ვინც ძელს მაცვა, მაწამა, არც პასუხი მომითხოვია და არც გამიტყავებია მაგრამ ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს შეურაცხმყოფლებს არ დავინდობ!







## ეშმაკების „ჯვაროსნული“ ომი საქართველოს წინააღმდეგ

## „იქ, სადაც ეპისკოპოსობისთვის 80 000 დოლარი უნდა გადაიხადო, რაზე უნდა ილაპარაკო?!“



## ვისი ემისარია დედით სომეხი ვლადიმერ ხომერიკი – პუტინის თუ სომხური ლობის?




## გადაივლის თუ არა ტრამპი „დემოკრატების“ „ბეწვის ხიდზე“?

## ვახტანგ ხარჩილავა:

# ბიძინა ივანიშვილის ფენომენი



ყველაფერს ჭირდება თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა.

ზოგჯერ არ ამართლებს მოსაზრება, რომ მთავარია საქმე გაკეთდეს, ხოლო აუცილებელი არ არის ამ საქმის გარშემო ილაპარაკო და ხალხს განუმარტო, რატომ, რა მიზნით გააკეთე ეს საქმე – ისედაც დაინახავენ და სწორად შეაფასებენ ყველაფერს.

სამწუხაროდ, არ ხდება ეს ასე — ადამიანებს უჭირთ თავიანთ თანამედროვეთა ღვაწლის მნიშვნელობის გაგება და აღქმა, რადგან რაც ძალიან ახლოს არის, იმის დანახვა ძნელია.

დრო ჭირდება ამას — ხან ნახევარი საუკუნე, ხან საუკუნე, ხან უფრო მეტი...

სიახლოვის გამო, იმის გამო, რომ ის ჩვენი თანამედროვეა და ჩვენს გვერდით ტრიალებს, ჩვენ დღემდე ვერ მოვახერხეთ ბიძინა ივანიშვილის ფენომენის სწორად დანახვა და შეფასება და ეს არც არის გასაკვირი.

ადამიანის ღვაწლის სიდიადე თუ სიმცირე, სინამდვილეში, იმით კი არ იზომება, რას ამბობენ მასზე მისი თანამედროვენი, არამედ იმით, რას იტყვის მასზე შთამომავლობა.

ჩემი აზრით, ჩვენს საზოგადოებას, ზოგადად, ქართველ ხალხს, მთლად ზუსტად და სწორად არ ესმის ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობის მთავარი არსი და ლოგიკა.

ზოგიერთისთვის შეიძლება მისი ქმედებები გაუგებარი და გამაღიზიანებელიც კი იყოს — ვინ რჯის, ვინ აიძულებს, მილიარდებს რომ ყრის ქველმოქმედებაში. ვისთვის დაუფასებიათ, რომ მას დაუფასონ? ვისთვის დაუბრუნებიათ სიკეთისთვის სიკეთე, მადლისთვის მადლიერება, რომ მას დაუბრუნონ? — ასეთია ობივატელის ფილოსოფია.

ბიძინა ივანიშვილი, ცხადია, დიდი ქველმოქმედია, რომლის დიაპაზონის მეცენატი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ძალიან ცოტაა, თუმცა თუ მის საქმიანობას თვალს გავადევნებთ, ერთ აღმოჩენამდე მივალთ — ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედება არ არის მხოლოდ ქველმოქმედება, იმ ფორმით და იმ შინაარსით, როგორც ჩვენ ის გვესმის.

მისი ქველმოქმედება თითქოს გარკვეულ კონცეფციურ ხაზს მისდევს და მთლიანობაში რაღაც დიდი, გრანდიოზული გეგმის განხორციელებას ემსახურება.

დიახ, ეს არ არის მხოლოდ ქველმოქმედება ეს გეგმაა და ამ გეგმას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისა და განვითარების გეგმა.

ბევრი რამ ამ გეგმიდან უკვე განხორციელდა, ნაწილი ამ გეგმისა განხორციელების სტადიაშია.

ერთხელ დავსვი ეს კითხვა და კიდევ გავიმეორებ: რა დარჩება საქართველოსგან, თუ მას ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ საქმეებს გამოვაკლებთ?

გამოაკელით და ნახავთ რა სავალალო სურათს მივიღებთ...

გაივლის დრო და არავის ემახსოვრება, რას ბლუყუნებენ დღეს ივანიშვილზე საakaშვილები და ბოკერიები, სანიკიძეები და გვარამიები, უგულავები და სამადაშვილები, სხვანი და სხვანი, სამაგიეროდ საუკუნეებს გადაეცემა ბიძინა ივანიშვილის მიერ თავისი ქვეყნისთვის გაკეთებული უამრავი კეთილი საქმე.

ეს ისეთი რეალობაა, რომელსაც ვერავინ ვერ შეცვლის, ვერავინ გააფერმკრთალებს, ვერავინ დამალავს.

რა თქმა უნდა, დღეს ნათქვამი მადლობაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც მადლიერი თაობების მიერ მომავლიდან, საუკუნეების შემდეგ შემოთვლილი მადლობაა...

ახლა კი შემოგთავაზებთ ფრაგმენტებს ინტერვიუდან, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალ **„Entcepreneur“**-ს მისცა.

### ბიძინა ივანიშვილი:

„ადრეც არაერთხელ მაქვს გაცხადებული და ახლაც ვადასტურებ, რომ ვაპირებ ჩემი ქონების არანაკლებ 90% საზოგადო საქმეს ანუ ქველმოქმედებას მოვახმარო“.

„სხვათა შორის ეს განაცხადი, როგორც ჩანს, არ მოეწონათ სიცრუეზე და ცილისწამებაზე ორიენტირებულ ოპონენტებს და ყველანაირად ეცადნენ, მიეჩქმალათ იგი. სწორედ ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მე მირჩევნია, თუნდაც საგრძნობი დანაკარგით დავიბრუნო ინვესტიციის ნაწილი, რომელმაც კატალიზატორის როლი უკვე შეასრულა და დროულად წარვმართო ეს სახსრები ფართო, საზოგადო მნიშვნელობის ამოცანებზე, ვიდრე ერთ პროექტში ხანგრძლივად ჩავტოვო ეს რესურსი. თუმცა, არც იმის ილუზია მაქვს, რომ ასეთი ძვირი პროექტების შეძენის სურვილი ბევრს გაუჩნდება და, შესაძლოა, მათი მართვა დიდხანს მომიწიოს, მაგრამ პრინციპი არ იცვლება - ნებისმიერი შემოსავალი ამ ობიექტებიდან, ექსპლუატაციის პროცესშიც იმავე პროპორციით დაიხარჯება, როგორც გაყიდვის შემთხვევაში - 90/10-ზე. სხვათა შორის, ოპონენტებს შეუძლიათ ქმედითი მონიტორინგი დააწესონ ამ პირობის შესრულებაზე, მაგრამ ხომ ცხადია, რომ ამას არ იზამენ - ისინი ხომ ფაქტებს და სიმართლეს ვერ უმკლავდებიან, ამიტომ ვარაუდობ, რომ ისევ სიყალბის და ცილისწამების მეთოდს აირჩევენ ოპონირებისთვის“.

„არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველოში არასოდეს მიწარმოებია ბიზნესი კლასიკური გაგებით – ბიზნესი მოგებისთვის. ერთადერთი კომერციული ორგანიზაცია ბანკი „ქართუა“ და მასაც სხვა დატვირთვა ჰქონდა შექმნის დღიდან. ეს იყო პირველი საინვესტიციო ბანკი და მის მიმართაც ანალოგიური დამოკიდებულება მქონდა – დავაარსე, რომ ქვეყანას დავხმარებოდი, რადგან მაშინ საქართველოში ძალიან სუსტი საბანკო სისტემა იყო და ამ სისტემას დახმარება სჭირდებოდა.

ისევე, როგორც ჩემი საქმიანობის სხვა სფეროებში, არც „ქართუ“ ბანკს უწარმოებია აგრესიული ბიზნესი, რაც, ზოგადად, საბანკო სექტორისთვისაა დამახასიათებელი, განსაკუთრებით კი, ბაზარზე შემოსული ახალი მოთამაშეებისთვის. „ქართუს“ ხელი არავისთვის შეუშლია. პირიქით, როცა „აბსოლუტ ბანკი“ გაკოტრდა და არსებობდა რისკი, რომ ეს მთელ საბანკო სისტემაზე ნეგატიურად აისახებოდა, სრულიად უხმაუროდ შევისყიდე ეს ბანკი და მისი უიმედო ვალდებულებები „ქართუმ“ გადმოიბარა. „ქართუს“, სხვა ქართული ბანკებისგან განსხვავებით, არასოდეს ჰქონია ჭარბი მოგება“ - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

„მზად ვარ ბანკი ნომინალურ ფასად, ანუ იმ ფასად გავყიდო, რაც თავდაპირველად შევიტანე კაპიტალში“.

„ქართუს“ გაყიდვასაც 3 წელიწადია ვცდილობ და ერთადერთი პირობა მაქვს – ბანკი არ უნდა დაიხუროს, ბაზარზე არსებულმა ორმა მძლავრმა მოთამაშემ არ შთანთქას იგი და უნდა იარსებოს მესამე – ძლიერმა ბანკმა. სწორედ ამიტომ ვთქვი უარი „ქართუს“ გაყიდვაზე მოგებით და მზად ვარ ბანკი ნომინალურ ფასად, ანუ იმ ფასად გავყიდო, რაც თავდაპირველად შევიტანე კაპიტალში. „ლიბერთი“ ბანკმა გამოთქვა შეთავაზებული პირობით „ქართუს“ ყიდვის ინტერესი, რაც მისასალმებელია. ეს კარგი იქნება საბანკო სისტემისთვის, რადგან მესამე, მძლავრი ბანკი ქვეყანას სჭირდება“.

„რაც შეეხება ოპონენტების საყვარელ ფრაზას, რომ ყველაფერი ივანიშვილმა იყიდა, მინდა გავაწბილო ისინი – ყველა დაინახავს, რომ 3 წელიწადში არცერთი სასტუმრო არ იქნება ჩემს საკუთრებაში, ამ პროექტიდან სარგებელს კი, ათასობით ადამიანი ნახავს“.

„წყალტუბოს სასტუმროები ღია აუქციონზე, მკაცრი საინვესტიციო პირობებით გაიყიდება. მხოლოდ ორი მთავარი მოთხოვნა და თხოვნა მექნება – ეს არის ვადები, რომ მაქსიმუმ 3 წელიწადში ობიექტი უნდა დასრულდეს და რეაბილიტაცია არსებული კულტურულ-ისტორიული იერსახის შენარჩუნებით განხორციელდეს“.

„რადგან წყალტუბოს რეაბილიტაციის პროექტი გახდა ამ ინტერვიუს საბაბი, კარგი დამთხვევაა და გეტყვით, რომ სწორედ წყალტუბოს მკვიდრი და, ალბათ, ყველაზე ცნობილი წყალტუბოელი, ყველასთვის საყვარელი მწერალი, ოტია იოსელიანი გამოეხმაურა ჩემს მაშინდელ პუბლიკაციას ქართულ პრესაში და ძალიან საინტერესო რეაქცია ჰქონდა“.

„წინასწარ ვამბობ და ვეუბნები ბიზნესსაც, რომ ეს იქნება ყველასთვის ძალიან საინტერესო და მომგებიანი საქმე, რადგან ეს სასტუმროები 12 თვის განმავლობაში იქნება დატვირთული. ამ პროცესში, მე ვფიქრობ, რომ შეიძლება ყველა სასტუმრო გაიყიდოს კერძო ინვესტორებზე, და პრაქტიკულად მე აღარცერთი სასტუმროს შეძენა არ მომიწიოს. რაც არ გაიყიდება, მე ვარ მყიდველიც და გამკეთებელიც – 3 წელიწადში! მოკლედ რომ ჩამოვაყალიბო ჩემი როლი ამ პროექტში, მე ვარ ერთგვარი გარანტორი და დამზღვევი, რომ წყალტუბოს აღორძინების პროექტი აუცილებლად განხორციელდება. მოდელი ასეთია – რაც არ გაიყიდება, იმას შევიძენ. ვფიქრობ, მშენებლობის პროცესშიც მოხდება დაინტერესება ბიზნესის მხრიდან. როგორც წერილში განვაცხადე, მზად ვარ, ნებისმიერ ეტაპზე, იქნება ეს დაგეგმარება, პროექტირება, მშენებლობა თუ დასრულების შემდეგ, ექსპლუატაციაში ჩაშვება, გავასხვისო ეს ობიექტები ნებისმიერ ინვესტორზე, რათა შემდგომში მან გააგრძელოს წარმატებული ოპერირება. მაქსიმალური ფასი მხოლოდ პროექტზე დახარჯული თანხა იქნება“.

„ამავე პროცესშიც დავეხმარები იმ ბიზნესსაც, ვინც უკვე ფლობს იქ სასტუმროებს და არ მოისურვებს გაყიდვას – მთავარია, მათ ხარისხი დავიჭიროთ მაღალი, ამას კი დამატებითი ინვესტიციები დასჭირდება. ზოგს შეიძლება, თანაინვესტირების ფონდის საშუალებით დავეხმარო, ზოგს იაფი რესურსის მოძიებით, ან სხვა სახით, როგორც ბიზნესს დაჭირდება. თუ ასე არ მოხდა და ბიზნესმა ამ ეტაპზე მაინც თავი შეიკავა, ყველას ობიექტს მე შევიძენ და დავასრულებ. რაც მთავარია, მე ზოგადი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში მივეხმარები სახელმწიფოს. რასაც თავად ვერ გაწვდება, ჩემი ხარჯებით დავაფინანსებ. იქ მთელი ინფრასტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს, წყლის რესურსის სწორი გამოყენებით, ერთიანი სპა სისტემის შექმნით. ერთი და ორი სასტუმროს გაკეთებას აზრი არ აქვს, ყველაფერი უნდა მოხდეს კომპლექსურად, ერთიანი გეგმის ფარგლებში. როცა ბიზნესი დაინახავს, რომ ინფრასტრუქტურა სრულად მოწესრიგდა და 3 წელიწადში შეიძლება სერიოზული შემოსავლები მიიღოს, საქართველოში არის ძალიან ბევრი ნიჭიერი ბიზნესმენი და დარწმუნებული ვარ, მათი მხრიდან უზარმაზარი ინტერესი იქნება. ზუსტად ისე, როგორც ეს მოხდა აბასთუმანში.“

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ეშმაკების „ჯვაროსნული“ ომი საქართველოს წინააღმდეგ

უპირებდნენ თუ არა მოკვდინებას ციანიდით პატრიარქს, არავინ იცის, მაგრამ მეუფე პეტრემ მხცოვანი პატრიარქის მოკვლა ნამდვილად რომ სცადა, ამას დამტკიცება და დადგენა არ სჭირდება, რადგან მკვლელობის მცდელობა მეუფე პეტრემ საჯაროდ, სახალხო, დემონსტრაციულად, ტელეკამერების წინ განახორციელა.

თუ შევთანხმდებით, რომ სულერთია ადამიანს ციანიდით მოკლავ, ტყვიით მოკლავ თუ სიტყვით მოკლავ, მკვლელობა მაინც მკვლელობაა, ამ ლოგიკით გამოდის, რომ მეუფე პეტრეც მკვლელია.

თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ იმ ვერსიას, რომ მეუფე პეტრეს ეს მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში კი არ ჩაუდენია, არამედ ეს იყო წინასწარ დაგეგმილი პროექტი, რომლის უკან სერიოზული ძალები დგანან, მაშინ მეუფე პეტრე უბრალო მკვლელი კი არ არის — ქილერია.







— ასეთი ამბები შემთხვევით არ ხდება... დიდი ზურგი უნდა გქონდეს, რომ ეს გააკეთო. როგორც წესი, დიდი ფული დგას ასეთი საქმეების უკან — ეჭვს გამოთქვამენ ვიღაც-ვიღაცები, მათ შორის საეკლესიო პირებიც.

თუ დროს ორი-სამი წლით უკან გადავახვევთ და იმ მოვლენებს თვალს გადავავლებთ, რომლებიც 31 ოქტომბერს განხორციელებულ საბედისწერო „გასროლას“ უძღოდა წინ და ამ მოვლენებში მეუფე პეტრეს განსაკუთრებულ აქტიურობასაც გავიხსენებთ, შეიძლება მართლაც მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ 31 ოქტომბრის დრამატული ფინალი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა.

მეუფე პეტრე ამ დარტყმას სინოდის სხდომისთვის ინახავდა და როგორც არ უნდა წარმართულიყო ეს სხდომა, ის ამ დარტყმას აუცილებლად განახორციელებდა.

უპრიანი იქნება ამ საქმესთან დაკავშირებით ერთი გარემოებაც გავიხსენოთ, რომელიც, ჩემი აზრით, პირდაპირ კავშირშია სინოდის სხდომაზე განვითარებულ დრამატულ ამბებთან.

მხედველობაში მაქვს დეკანოზ გიორგი მამალაძის „გასაიდუმლოებული“ წერილი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თითქოს გასაიდუმლოებული იყო, რამდენიმე ეპისკოპოსს და რამდენიმე საინფორმაციო საშუალებას გაეგზავნა.

ასე რომ ამ წერილის შინაარსი საკმაოდ ბევრმა ადამიანმა იცოდა და, სავარაუდოდ, იცოდა სინოდის წევრთა უმრავლესობამაც, თუმცა წერილის ავტორი და მისი ნდობით აღჭურვილი პირი, დეკანოზის ძმა, თორნიკე, დაჟინებით იმეორებდნენ, რომ არ აპირებდნენ წერილის გასაჯაროებას და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნებას.

მათი კატეგორიული მოთხოვნა და უცვლელი პირობა იყო, რომ წერილი უნდა წაკითხულიყო და უნდა განხილულიყო მხოლოდ და მხოლოდ სინოდის სხდომაზე.

ეს მოთხოვნა, რომელიც აშკარად შეიცავდა ულტიმატუმისა და შანტაჟის ნიშნებს, არაერთხელ გახდა ფართო დისკუსიის და განსჯის საგანი სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებში.

განსაკუთრებით ფართოდ იქნა განხილული წერილის გასაჯაროება-არგასაჯაროების საკითხი მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა სინოდის მოწვევის თარიღი.

დეკანოზის ძმა, თორნიკე, გადაცემიდან გადაცემაში დარბოდა და ერთიდაიგივე განცხადებას აკეთებდა, რომ წერილი აუცილებლად უნდა განხილულიყო სინოდის სხდომაზე.

სინოდის სხდომა დაიწყო და დაწყებისთანავე მოხდა მოულოდნელი რამ: — სხდომის 46 მონაწილედან უკლებლივ ყველამ მხარი დაუჭირა წინადადებას საქართველოს პრეზიდენტისთვის მიემართათ შუამდგომლობით დეკანოზ მამალაძის შეწყალების შესახებ.

— ნამდვილად არ ველოდით ამას... ორჯერ მივმართეთ ხელისუფლებას შეწყალების თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ... ახლა სინოდის თხოვნის შემდეგ იმედი გაგვიჩნდა — იტყვის სინოდის სხდომის მეორე დღეს დეკანოზის მამა.

დიახ, ეს იყო სინოდის მხრიდან აბსოლუტურად მოულოდნელი სვლა, რომელიც როგორც ჩანს მდგომარეობის განმუხტვას, კერძოდ, დეკანოზ მამალაძის მოთხოვნის განეიტრალებას ისახავდა მიზნად.

შეწყალების პეტიციის მიღების შემდეგ, რომელსაც სინოდის ყველა წევრი აწერდა ხელს, დეკანოზის წერილის განხილვის საჭიროება ავტომატურად მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან.



ყოველ შემთხვევაში ასე ფიქრობდნენ ისინი, რომლებმაც გადაწყვიტეს დასწრებაზე ეთამაშათ და მამალაძის წერილის წაკითხვისა და განხილვის მოტივაცია გაექარწყლებინათ.

მეუფე პეტრე მიხვდა, რომ გეგმა ჩავარდა. ჩავარდა გეგმა, რომლის მთავარი სქემატური მონახაზი, ჩვენი ვარაუდით, ასე გამოიყურებოდა: დეკანოზ მამალაძის წერილის წაკითხვას, რომელშიც პატრიარქი უმძიმეს ცოდვებში იყო მხილებული, დიდი ალბათობით აუცილებლად მოჰყვებოდა პატრიარქის დაუყოვნებლივ გადადგომის მოთხოვნა, მაგრამ, როგორც ვთქვით, საპატრიარქომ მოვლენათა ამგვარ მდინარებას შეწყალების შუამდგომლობით კალაპოტი გადაუკეტა.

გეგმა ჩაიფუშა, მაგრამ მეუფე პეტრემ ამ ჩაფუშული გეგმის გადასარჩენად გადაწყვიტა თვითონ ემოქმედა და თვითონ ეთქვა ხმამაღლა ის, რაც მამალაძის წერილში ეწერა.

მან გადადგა თავგანწირული ნაბიჯი, რომელიც თავისი ეფექტით უფრო სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანის უკანასკნელ გაბრძოლებას ჰგავს, რომელსაც გადაუწყვეტია რადაც არ უნდა დაუჯდეს, იხსნას და გადაარჩინოს მისთვის ყველაზე უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი რამ.

ეს უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი რამ მეუფე პეტრესთვის ის იყო, რომელსაც მან სამი წლის განმავლობაში დიდი ენერგია დაახარჯა — პატრიარქის გადადგომა, ეკლესიის დისკრედიტაცია, ეკლესიის გახლეჩვა და დაპირისპირების გაღრმავება და გამძაფრება.

მეუფე პეტრეზე ბევრი რამ შეიძლება თქვა, მაგრამ ბრიყვიაო, ვერ იტყვი.

მან 31 ოქტომბერს სასწორზე შეაგდო ყველაფერი, რისთვისაც ცხოვრებაში მიუღწევია.



ის სულელი ნამდვილად არ არის, რომ ვერ განეჭვრიტა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის ამ თავგანწირულ ნაბიჯს და მაინც გადადგა ეს ნაბიჯი.

რით შეიძლება ეს აიხსნას?

ალბათ იმით, რომ მას აქვს რაღაც ძალიან დიდი ვალდებულება ადამიანთა სერიოზული ჯგუფის წინაშე, ვალდებულება, რომელიც დიდი ფულით არის გამაგრებული.

31 ოქტომბერს მეუფე პეტრემ გაწირა ყველაფერი, რაც გააჩნდა, მაგრამ ვალდებულება, ნაწილობრივ მაინც, შეასრულა.

მართალია, არც ბომბი აუფეთქებია ვინმეს, არც შაშხანა გაუსვრია, არც შაჰიდის ქამარი მოუყვანია მოქმედებაში, მაგრამ 31 ოქტომბერს მომხდარი ამბავი შეიძლება შეფასდეს, როგორც ტერაქტი, რომელსაც დიდი ნგრევა მოჰყვა.

ნგრევა ადამიანთა სულების, ნგრევა იმედის, ნგრევა რწმენის, ნგრევა ფასეულობების და ღირებულებების, რაც მატერიალურ ზიანზე გაცილებით კატასტროფული შედეგების მომტანია.

ეს ის ნგრევაა, რომელიც ერთი აფეთქებით არ მთავრდება და აფეთქებები დროგამოშვებით მეორდება და მეორდება.

მეუფე პეტრეს მიერ განხორციელებული ტერაქტი არ დასრულებულა, ის კიდევ ბევრჯერ შეგვახსენებს თავს.

მომხდარის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ნამდვილად არსებობდა კარგად დაგეგმილი დიდი შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ და ამ შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა სწორედ რომ მეუფე პეტრე ბრძანდებოდა „აბსოლუტურად უდანაშაულო“ დეკანოზ მამალაძესთან ერთად.

ეს „აბსოლუტურად უდანაშაულო“ დეკანოზი მამალაძე, როგორც ჩანს, არც ისე უდანაშაულოა. მას შეიძლება უშუალოდ ციანიდთან შეხება არ ჰქონია, მაგრამ ის აქტიურად რომ მონაწილეობდა ამ შეთქმულებაში, ეს უდაოა.

უფრო მეტიც, დეკანოზი მამალაძე ფაქტობრივად საპატიმროდანაც ასრულებდა ერთ-ერთი წამყვანი ფიგურის როლს ამ დროში გაგრძელებული შეთქმულების საინფორმაციო მხარდაჭერის მიმართულებით.

მხედველობაში მაქვს მისი გასაიდუმლოებული თუ ნახევრად გასაიდუმლოებული წერილი, რომელმაც დღის სინათლე ვერ იხილა, მაგრამ მეუფე პეტრეს და მისი მოკავშირეების ხელში შანტაჟის და ზეწოლის საკმაოდ მძლავრ და ეფექტურ იარაღად იქცა.

არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, თითქოს დეკანოზ მამალაძის შეწყალების წინააღმდეგი ვიყო. არა, ნამდვილად არა, თუმცა შეწყალება მხოლოდ ერთი მხარის, ამ შემთხვევაში პრეზიდენტის გულმოწყალებაზე რომ არ უნდა იყოს დამოკიდებული, ესეც ცხადია.

ამ აქტს, ვფიქრობ, პირველ რიგში, შესაწყალებელი პირის მხრიდან გულწრფელი სინანული გნებავთ, გულწრფელი აღსარება უნდა უძღოდეს.

შეიძლება სუბიექტურია ჩემი მოსაზრება, მაგრამ მაინც ვიტყვი: დეკანოზი მამალაძე არ არის გულწრფელი ქართველი საზოგადოების წინაშე, ის რაღაც ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას მალავს იმ დრამატულ ამბებთან დაკავშირებით, რაშიც ის ნებსით თუ უნებლიეთ გაიხლართა.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს თუ დავაკვირდებით, ის, რაც ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში ბოლო წლებში ხდება, პირდაპირ კავშირშია ამ პროცესებთან. უფრო ზუსტად, ეს არის რევანშისტების მიერ დაწერილი რევოლუციური სცენარის

5 გვ. →

# „იქ, სადაც ეპისკოპოსობისთვის 80 000 დოლარი უნდა გადაიხადო და ძალიან ფხიზლად უნდა იყო, ლოგინში მრუში ქალი არ შემოგიწვინონ, საერთოდ, რაზე უნდა ილაპარაკო?!“

*გვესაუბრება საზღვარგარეთ მოღვაწე მიტროპოლიტი მელქისედეკი (ელიზბარ დიაკონიძე)*

**— მეუფე მელქისედეკ, ვიცი, თვალს ადევნებთ საქართველოს ეკლესიაში მიმდინარე მოვლენებს და გულისტკივილს გამოვთქვამთ...**

— მივესალმები ჩემს ქართველებს, რომლებიც ძალიან მენატრებიან და მივმართავ გიორგი მთაწმინდელის სიტყვებით: „ჰოი, ქართველნო, სიბრძნის მოყვარენო, აღტეხილობა მაქვს მოშაირობად უბნობად თქვენდა“.

დიდი ხანია ჩვენ არ გვისაუბრია, მე საქართველოში აღარ ვმოღვაწეობ, არ დამაყენეს, რადგან ზოგიერთებს ეგონათ, რომ მათ ტაშს დავუკრავდი და ყველაფერში მორჩილი ვიქნებოდი, მაგრამ ელიზბარ დიაკონიძე არაა ის კაცი, ვინმეს დაკრულზე იცეკვოს, „მოცეკვავე“ მღვდელთმსახურები ბევრი არიან დღეს ჩვენს ეკლესიაში და პირდაპირ ვიტყვი — ამაზრზენია, რაც ხდება დღეს ამ კუთხით.

თქვენი გაზეთის საშუალებით, არაერთხელ ვამხილე ესენი, ასევე გამოვამზეურე ჩემი ე.წ. აღსარება, 12-პუნქტიანი შენდობის წერილი, სადაც ვაკრიტიკებდი მამას — ჩვენს პატრიარქს, მაგრამ, ჩამოვაგდოთ და წიხლით გავთელოთთქო, ამის თქმისგან ღმერთმა დამიფაროს — საქმე პატრიარქის ტახტს ეხება და ეს უბრალო საქმე არ არის...

დღეს, როგორც ყოველთვის, ვიტყვი სიმართლეს: ეს ნაგავი, რომელიც ახლა სააშკარაოზე ტივტივებს, თავის დროზე პატრიარქმა შემოიკრიბა ირგვლივ.

**— მიზეზი?**

— ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს, ამიტომ კონკრეტულად ვერ ვიტყვი, თუმცა ამ ბალასტში არის პატიოსანი მღვდელმთავრებიც, რომლებიც ხმას არ იღებენ და თვით პატრიარქიც ცდილობს ისინი განარიდოს დაძაბულ სიტუაციებს, ნათქვამი აქვს მათთვის მამას (პატრიარქს — ი.კ.) — ფრთხილად იყავით, შესაძლოა, მოგკლან, იყავით წყნარად თქვენს ეპარქიებშიო. მეუფე იობისთვის აქვს ეს ნათქვამი. მეუფე იობი ამას საჯაროდ არასდროს იტყვის, რადგან ეს საპატრიარქო ტახტზე დარტყმა იქნება. მე პირადად მითხრა ამის შესახებ მეუფე იობმა.

**— ვინ მოგკლავსო, ვის განერიდეთო, პოლიტიკოსებსო?**

— ეკლესიას, საეკლესიო პირებთან ნუ გექნებათ მჭიდრო კავშირებიო, სინოდის წევრებთანო...

ხომ დაინახეთ, რა უქნეს დეკანოზ მამალაძეს.

მეუფე იობის მოწამვლაც უნდოდათ. სპეციალური აპარატი დააყენეს ეპარქიაში მისი საცხოვრებლის პირდაპირ მთაზე, დასხივება რომ მიეღო მეუფეს და გამოთიშულიყო. თვითონ იობი მომიყვა მერე: ორი ხე იდგა გვერდიგვერდო, რომელ ხესაც დასხივება ხვდებოდა, ის ხე გახმაო. აღმოაჩინეს შემდეგ ის რადარი პირდაპირ მთაზეო.



მეუფე იობი ერთ-ერთი სერიოზული ფიგურაა, რომელიც საპატრიარქო ტახტზე მოიაზრება, ახალგაზრდაა, ენერგიულია და დაუნდობელი იქნება ქვაბ-ავაზაკების მიმართ საპატრიარქოსა და წმინდა სინოდში.

**— თქვენი აზრით, მიმდინარე პროცესები პატრიარქის ტახტის დასაუფლებლად არის პროვოცირებული თუ პოლიტიკური ვითარების დასაძაბავად?**

— პატრიარქის ტახტის ხელში ჩაგდება პოლიტიკური არეულობის ერთ-ერთი სეგმენტია, რადგან გარკვეულ ძალებს სურთ პატრიარქად იყოს ნაციონალების მოსაწონი პირი, თუმცა რაღა პირდაპირ ნაციონალების, ეგება ქოც-ნაცების?

შევარდნაძის დროიდან მოდის ეკლესიის დისკრედიტაცია.

კარგად მახსოვს, სტუდენტობის დროს ქალს ოქროს საყურეების წართმევის მიზნით ყურები რომ ჩამოახია, ახლა ის კაცი მიტროპოლიტია. ვინც მაშინ დაიჭირა სტუდენტობისას ის მიტროპოლიტი, იმ პოლიციელს შეხვდა თურმე ამასწინათ, მიცნოო და ხელი ჩამომართვაო, მიყვებოდა ის პოლიციელი...

მე საკმაოდ ახლოს ვიცნობ პეტრე ცაავას. ის ჩვეულებრივი ჯიბის ქურდი იყო სენაკის ვაგზალზე. რამდენადაც ვიცი, ქურდულ სამყაროშიც შეეშალა, ამიტომაც გამოერიდა იქაურობას და წამოვიდა. საყოველთაოდ ცნობილია, კრიმინალების აბსოლუტური უმრავლესობა შეკრული იყო ადგილობრივ სამართალდამცავებთან, ანუ უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვა, „დავერბოვკებული“ იყო ყოფილი მეუფე ქურდობის პერიოდში. მისი ე.წ. „ვერბოვკა“ სავარაუდოდ, თბილისში გადმოსვლის მერეც მოხდა. თქვენ ადრე წერდით ილია ზუკაკიშვილზე, რომელსაც თაღლითურად წაართვა ქონება. ჩემთანაც შეეშალა და პასუხის გასაცემად მომენტს რომ ვეძებდი, ვითომ უცოდველი კრავი ყოფილიყო, შემომითვალა: რას მერჩის ელიზბარ დიაკონიძეო. მეც შევუთვალე: ეკლესიას და ქვეყანას აყენებ ზიანს და სირცხვილს, თორემ მარტო პირადად ჩემთან რომ გქონდეს მიქარული, მიწიდან ამოგიღებდი და პასუხს გაგცემდი, როგორც კაცი კაცს-მეთქი.

ახლა რომ ლაპარაკობენ პატრიარქზე სიბინძურეებს და გარყვნილებებს, დაუსვით ერთი კითხვა — როცა ეკლესიის წიაღში იღებდნენ, თვითონ ხომ არ მონაწილეობდნენ იმ გარყვნილებაში აბა, ისე, საიდან იციან, რა ხდებოდა და როგორ ხდებოდა?!

რა სამღვდელო ხარისხშიც ვარ ახლა, საქართველოს ეკლესიაში ეს მადლი, სავარაუდოდ, არასდროს მექნებოდა, რადგან ვემსახურები ღმერთს და ვერ გამოვცხადდებოდი ვილაცისტად, ვინმეს მომხრედ და კუდის მაქიცინებლად.

**ვერსად მოისმენთ მსგავს საშინელებებს, რაც საქართველოს საპატრიარქოში ხდება დღეს, — ლოგინებში ქალებს უწვენენ მიტროპოლიტებს, მათი დისკრედიტაცია რომ მოახდინონ, მიტროპოლიტ სერაფიმეს (ჯოჯუა — ი.კ.) მრუში ქალი შეუწვინეს, რომელიც ლოგინშივე აყვირდა მომეხმარეთ, მიტროპოლიტმა შემაცდინაო.** მეუფეს ეძინა, როცა ეს ქალი თავისით შეუწვა ლოგინში, კივილზე გამოეღვიძა და გაოგნდა: რა ხდება ჩემს თავსო. ორი თუ სამი წლის წინ მოხდა, დაახლოებით ეს ამბავი. ასეთი ამბები ახლაც ბევრი მესმის. ბორჯომის ეპარქიაში განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ამ მეთოდს სამღვდელო პირების დისკრედიტაციისთვის. ბორჯომში მოხდა სწორედ ინციდენტი, როცა ასე სპეციალურად ბერის ლოგინში ჩაწოლილმა ქალმა თქვა: ორსულად ვარ ამ კაცისგანო. იმის გარდა, რომ მრუშობაში დასდო ბრალი, იმ კაცს მოუწია თავისი უბედურების გამხელა — იმპოტენტი ყოფილიყო და მერე ცნობაც წარადგინა ამის დამადასტურებელი.



**— მე კორუფციაზეც მსმენია ჩვენს ეკლესიაში.**

— დიახ, სიმონიის ცოდვაც ტრიალებს საპატრიარქოში. **80 000 დოლარი იყო საჭირო ეპისკოპოსად კურთხევისთვის**, რადგან მერე მიტროპოლიტის ხარისხში ადვილია ამაღლება.

დღეს მაღალ სამღვდელო პირებს, უმრავლესობას, დიდძალი თანხები აქვთ ნასესხები, ან გაყიდული აქვთ ყველაფერი ხარისხის საყიდლად და თუ კორუმპირებული არ იქნება, იმ ფულს ვერ ამოიღებს. მილიონერი მღვდლად მიდიოდეს სადმე გაგიგიათ? ანუ ვალს იღებს: დავინიშნები, მაგალითად, ეპისკოპოსად და მერე ნელ-ნელა გავისტუმრებო.

**— ვინ იღებდა (თუ იღებს?) ამ ფულს?**

— ვიღაც შორენა თეთრუაშვილს აძლევს, ალბათ ვიღაცა — სხვას, პატრიარქის ახლობლებს და ა.შ. გავლენების მიხედვით ხდება ყველაფერი.

სხვათა შორის, ეკლესიის დაცემა ლენინისა და დერჟინსკის პერიოდიდან მოდის, მაშინ ეკლესიის ავტორიტეტის შესალახად, დავალება იყო მოცემული — ეკლესიაში ქუჩის კრიმინალური ფენების წარმომადგენლები უნდა შეეყვანათ, რომლებიც ყველაფერს იკადრებდნენ. ახლაც ასეა, რადგან ბოლშევიკური მენტალიტეტი ჯერ კიდევ ვერ ამოიძირკვა ჩვენი ყოფიერებიდან და ცნობიერებიდან. ლენინი სულელი კი არ იყო, ამბობდა: სალოცავ შენობებს კი ნუ ანგრევთ, სული გამოაცალეთ ეკლესიას და რწმენა გაანადგურეთო.

**— ბოლშევიკებზე რუსეთი გამახსენდა — პატრიარქის თანამოსაყდრე მეუფე შიო (მუჯირი) რუსეთუმეაო, ამბობენ და ჩვენს ეკლესიას და ქვეყანას რუსეთს დაუმორჩილებსო...**

— გთხოვთ დიდი ასოებით დაწერეთ, რომ შემცდარმა ადა-



**მიანებმა ასეთი მოსაზრება თავიდან ამოიგდონ — ერთადერთი მართლმადიდებლური ეკლესია მსოფლიოში არის რუსეთის ეკლესია.** უკრაინას ჯერ ვერ ცნობს საქართველო, რადგან, უკაცრავად და, შიში გვივსებს საცვლებს, კონსტანტინეპოლია და მტერს და ავს მასთან ნებისმიერი კავშირი, მსოფლიოში ერთადერთია მართლმადიდებლური რუსული ეკლესია. ამერიკას და დასავლეთს რომელი ეკლესია აქვს, რომის პაპს მივეკედლოთ? ეკუმენიზმი გვინდა?

ავტოკეფალური ისედაც ვართ და ვერავინ წაგვართმევს ამას, მაგრამ რა შუაშია რუსეთუმე და ამერიკათუმე, რა ლაპარაკია ეს.

ერეკლე II ტოტლებენზე ამოსდიოდა მზე თუ ეკატერინეზე უნდოდა დაქორწინება? — მართლმადიდებლობის გამო მიეკედლა რუსეთს, გაიგეთ, ეს ხალხო! ერეკლეზე მეტად ვაჟკაცი რომელია დღეს ჩვენს პოლიტიკაში ან სასულიერო პირებში, დამისახელეთ, ერთი.

**— მეუფე, რას ფიქრობთ, ქართველი ეპისკოპოსები თეთრ სახლში მაინც რატომ იყვნენ მიწვეული?**

— სავარაუდოდ, იქ მიიღეს დირექტივები, ისეთი, სააკაშვილს რომ ჰქონდა მიღებული ცრუ-დან.

სხვათა შორის, არაბები რომ შემოვიდნენ საქართველოში, სომხებმა დიდძალი ფული მისცეს მათ, სარწმუნოება შეუცვალეთ ქართველებსო. მიზეზად დაასახელეს, ესენი ბიზანტიური ეკლესიის კანონებით მოქმედებენო. ბიზანტიასთან ომი ჰქონდათ მაშინ არაბებს. ეს ისტორიული ფაქტია, ასეა დღესაც. აშშ-ში სომხური ლობი მძვინვარებს. აი, ვინ გვებრძვის ჩვენ მთელი ჩვენი არსებობის მანძილზე.

**— ეკლესიაშიც შეიძლება იყოს შეპარული სომხების მხარდამჭერები?**

— ზოგი ნებით, ზოგი უნებლიეთ, შეიძლება მათ წისქვილზე ასხამდნენ წყალს. რაც შეეხება თვით მღვდელმთავართა სომხობას, არა მგონია, რწმენის გათვალისწინებით. ისე, ერთ ეპისკოპოსზე კი ამბობენ, სომეხია წარმოშობითო, მაგრამ აქ წარმოშობებზეც არაა საუბარი. ვინ რას იკადრებს, ესაა საქმე.

დღეს ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ-ზნეობრივი კრიზისია, საბოლოო ჯამში, ყველა თვალს ხუჭავს დანაშაულზე, ვიღაცას არ ვაწყენინოო, მაგრამ სამშობლოს რომ აწყენინებ, ეს არაფერია?

46 კაცია სინოდში. როცა დავით გარეჯის საკითხი გამწვავდა, ამ 46-დან რომელიმე თავისი მრევლით წავიდა იქ, ფეხს არ მოვიცვლით აქედან, სანამ გარეჯი საქართველოს კუთვნილებად არ გამოცხადდებაო? სად არიან ის ქალები, ახლა პეტრეს მხარს რომ უბამენ და სააკაშვილის წისქვილზე ასხამენ წყალს, წავიდნენ იქ და მოაწყონ შეუწყვეტელი დედების აქცია. ვინც იქ დამჯდომია და თავის გამწირველია, ჩემი ჩათვლით, გაგდებული ჰყავთ საქართველოს ეკლესიიდან — არ არიან სანდოებიო. რაში არ ვართ სანდო, სიმართლეს რომ ვამბობთ?

მე თქვენს გაზეთს ინტერვიუ მივეცი 2010 წელს, ჟურნალისტს, ქალბატონ ირინა გოგოსაშვილს ვესაუბრე და ვამხილე ის ცოდვანი, რაც საქართველოს ეკლესიას სნეულებასავით ჰქონდა მოდებული. იქედან დაიწყო ჩემი დევნა — როგორ ვთქვი, როგორ ვახსენე ისინი, როგორ გავბედე და ვაღიარე: მღვდელმთავრები დოლარებს და ევროებს ხარჯავენ ბინის კეთილმოწყობაში, პრესტიჟულ უბნებში ცხოვრებისთვის-მეთქი. სამ-სამი მანქანა რად უნდათ რკინის ვოლიერებში ჩასმული, არავინ მომპაროსო?! ეს რომ საჯაროდ ვთქვი, ათასი ტყუილ-მართალი შეთხზეს მერე ჩემზე და ბოლოს ციხეშიც ჩამსვეს. ორი მღვდელი მოწმის სახით გამოდიოდა ჩემს სასამართლოზე. მღვდელი, ანაფორით მოწმედ, გესმით, ეს რას ნიშნავს?

სხვათა შორის, ციხიდან გამოსვლის დღესვე ბრძანა პატრიარქმა — შესამოსელი ჩააცვით, ხვალ წირვაზე დადგესო. მახსოვს, როგორი წინააღმდეგი იყვნენ არქიდიაკონი და სხვები, სამჯერ გაამეორებინეს პატრიარქს კურთხევა, სანამ ხმამაღლა არ თქვა: შემოსეთ ეს კაცი და დააყენეთ წირვაზეო. უდიდესი მადლიერება მაქვს ჩვენი პატრიარქის მიმართ.

ჩვენ ცოდვების მპატიებელი, შემნდობი, საოცარი პატრიარქი გვყავს.

თქვენ უნდა გენახათ, ჩემს კურთხევაზე რომ წამოაყენა წინადადება პატრიარქმა კომისიის წევრები როგორ წინააღმდეგი წავიდნენ.

**— ნასამართლევი რომ იყავით, ალბათ, იმიტომ არ უნდოდით გვერდით.**

— ხუმრობთ ხომ? რომელი არაა იქ ნასამართლევი. პეტრე არ იყო ნასამართლევი — ჯიბის ქურდი? ნარკომანები ცოტა ჰყავდათ სინოდში?

ჩემზე დავიწყე, უნებლიედ საუბარი, გული მტკივა და ლაპარაკს მოჰყვა, თორემ რა დროს ჩემზე საუბარია, როცა ქვეყანას ეხება საფრთხე.

როცა მე ინტერვიუ მივეცი თქვენს გაზეთს, მაშინ მივმართე, ვისაც ეკუთვნოდა: ცოდვილი ვარ, მაგრამ არ იკადროთ, საჯაროთ გაამხილოთ ჩემს მიერ აღსარებაში მონანიებული ცოდვები-მეთქი. ჩემზე ნუ ილაპარაკებთ, სამშობლოს გადარჩენაზე ვილაპარაკოთ-მეთქი.

**— ახლა რას ეტყვით ყოფილ მეუფე პეტრეს?**

— მოინანიოს, წავიდეს სადმე, დაეყუდოს. ის უყვარს პატრიარქს დღესაც. **თავის დროზე ეს ცოდვილი კაცი ყველას გვანაცვალა, თავის სოფელში წაიყვანა, ხევში გადამალა და რითი გადაუხადა?! პეტრემ მეგობარს სახლი გაუყიდა, ქურდობდა, ყარაბაღის ამბებში ერეოდა. ქართველ ვაგზლის ქურდს ყარაბაღის საქმეებში რა ხელი ჰქონდა?!** წარმოგიდგენიათ, საიდან აქვს „ყურები“ ყოფილ მეუფე პეტრეს?

დედაოებს მინდა მივმართო: ნუ დავიყვანთ ნურც ქვეყნის, ნურც ეკლესიის და საპატრიარქო ტახტის ბედს საკუთარ სიმპათია-ანტიპათიაზე — ეს სწყინს ღმერთსაც და კაცსაც.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ეშმაკების „ჯვაროსნული“ ომი საქართველოს წინააღმდეგ

← 3 გვ.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი.

თუ გავიხსენებთ მეუფე პეტრეს განსაკუთრებულ კავშირებს და განსაკუთრებულ სიმპატიებს „ნაცმოძრაობის“ და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის მიმართ, არ არის გამორიცხული, მეუფე პეტრე უშუალოდ იყოს ჩართული იმ რევანშისტული ხასიათის პოლიტიკურ დივერსიებში, რომლებსაც „ნაცმოძრაობა“ სხვადასხვა მიმართულებით სისტემატურად ახორციელებს და ქვეყანაში მუდმივი რყევების და არასტაბილურობის ატმოსფეროს შექმნას ცდილობს.

სარწმუნო წყაროს ცნობით, 2020 წლის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში „ნაციონალები“ მეუფე პეტრეს კათალიკოს-პატრიარქობას პირდებოდნენ.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც ექსპერტები და ანალიტიკოსები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, თუმცა, ჩვენი აზრით, სწორედ აქ დევს იმ იდეოლოგიური პლატფორმის ქვეტექსტი, რომელზეც აპირებენ ნაციონალები 2020 წლის საარჩევნო კამპანია ააგონ.

ცხადია, შემთხვევითი არ არის, აქამდე უღმერთო სააკაშვილი მოულოდნელად ღვთის გზაზე რომ შედგა და თავი ღრმად მორწმუნე ქრისტიანად, ტრადიციების, ქართველი ხალხის ეროვნული ფასეულობების და ღირებულებების ერთგულ მიმდევრად და დამცველად გამოაცხადა, რომელსაც თავისი პრეზიდენტობის პერიოდში 600 ეკლესია და ბაგრატის ტაძარი აუშენებია თურმე.

— სატანა ბოკერია მიმღვრევდა წყალს, თორემ მე ყოველთვის ტრადიციების მიმდევარი და დამცველი ვიყავი... ქრისტიანული რელიგია არის ჩემთვის უპირველესი... აგერ, ჯვარი მკიდია — ამბობს სააკაშვილი, რითაც, ფაქტობრივად, აანონსებს იმ მთავარ იდეოლოგიურ თეზისებს, რასაც ნაცმოძრაობის საარჩევნო პროგრამა დაეყრდნობა.

არ გაგიკვირდეთ, სააკაშვილი ილია ჭავჭავაძის უკვდავი ფორმულით — „ენა მამული, სარწმუნოება“ — წარსდგეს ქართველი ხალხის წინაშე და თავი ილიას სულიერ მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად გამოაცხადოს.

აღმაშენებელი უკვე არის, ვინ დაუშლის ახალი დროის ილია ჭავჭავაძეც რომ გახდეს.

აღმაშენებელს გიორგი ჭყონდიდელიც ხომ ჭირდება და აგერ არის პაატა ცაავა, იგივე მეუფე პეტრე სხვა მღვდელმთავრებთან ერთად, რომლებიც დღემდე მისტირიან „ღვთისმმოსავ“ მიშას.

მეუფე პეტრეს არ დაუმალავს, რომ აქტიურად აპირებს პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას. მან სინოდის სხდომიდან მეორე დღესვე განაცხადა, რომ საქართველოში ახალი ეროვნული მოძრაობა დაიწყება და ქვეყანა აპოკალიფსურ ცვლილებებს უნდა ელოდოს.

— თქვენ ხომ არ წარუძღვებით წინ ამ მოძრაობას? — ჰკითხა ჟურნალისტმა რევოლუციონერ პეტრეს.

— ვნახოთ, ვნახოთ — მიუგო პეტრემ ორაზროვნად.

ერთი უცნაური ამბავი აღმოვაჩინე ამ ბოლო დროს და უნდა გითხრათ: მეუფე პეტრე ტყუპისცალივით ჰგავს ვლადიმერ ილიჩ ლენინს.

სად სენაკი და სად ყაზანი, სად ცაავა და სად ულიანოვი, მაგრამ ფაქტი ფაქტია — პეტრე და ვლადიმერი ძმებივით ჰგვანან ერთმანეთს.

ეტყობა, ვლადიმერის სული პეტრეში ჩასახლდა და ხელმეორედ გამოგვეცხადა, რომ ახალი რევოლუციით „გაგვახაროს“.

დაიმახსოვრეთ, რასაც ახლა ვიტყვი: ნაციონალები პირველი რევოლუციის, „ვარდების რევოლუციის“ დროს თუ ვარდებს მოაბრდღვიალებდნენ, ახლა ვარდების ნაცვლად ჯვრები ეჭირებათ ხელში და ასე, ჯვრებით „შეიარაღებულნი“, შეეცდებიან მეორე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი „საღვთო რევოლუციის“ მოხდენას.

წინ „მამა“ მიშა და მეუფე პეტრე გაუძღვებიან „ჯვაროსნულ“ ლაშქარს საქართველოს დასახსნელად და გასათავისუფლებლად.

ეშმაკები ჯვრით ხელში, ეშმაკები, სანთლებით ხელში, ეშმაკების ომი ქრისტეს სახელით, საქართველოს სახელით — აი, ეს არის ის პერსპექტივა, რასაც მიშა და პეტრე გვიმზადებენ.

ელი, ელი, ლამა საბაქტანი...

**ვახტანგ ხარჩილავა**

**P.S.** ბოლო ერთი კვირაა მხოლოდ ღმერთის სახელი ისმის ტელეეკრანებიდან — მეუფეები ღმერთის სახელით ამხელენ ერთმანეთს, ღმერთის სახელით წყევლიან ერთმანეთს, ღმერთის სახელით იმუქრებიან, ღმერთის სახელით იგინებიან, ღმერთის სახელით აშანტაჟებენ ქვეყანას, თანაც გვარწმუნებენ, რომ ღვთისმსახურები არიან, საეკლესიო პირები არიან და ღმერთს ემსახურებიან.

კი მაგრამ ამათ საქციელთან საერთოდ რა შუაშია ღმერთი და სინამდვილეში ვინ არიან ეს ადამიანები — ფარისევლები? ძველი ბიჭები? ბანდიტები? ყაჩაღები?

რა კატეგორიის ადამიანები იმალებიან ამ ანაფორების ქვეშ და ვინ შეყარა ისინი ერთად იმ ორგანიზაციაში, რომელსაც წმინდა სინოდი ჰქვია და რომლის 47 წევრიდან 41-ი ბიზნესით არის დაკავებული.

წმინდა სინოდი კი არა ბიზნესკლუბი ყოფილა თურმე და ბარემ თავისი სახელი დავარქვათ — საქართველოს ეკლესიასთან არსებული ბიზნესკლუბი —„წმინდა სინოდი“.

**ვ.ხ.**



# პირადად მე, იმ ადამიანებისთვის, ვინც ძელს მაცვა, მაწამა, არც პასუხი მომითხოვია, არც გამიტყავებია და არც კოცონზე დამიწვავს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს შეურაცხმყოფლებს არ დავინდობ!

***გვესაუბრება***
***შსს აკადემიის პრორექტორი,***
***მსოფლიოს მრავალგზის***
***ჩემპიონი ჭიდაობაში,***
***ლუკა კურტანიძე:***

**— ლუკა, „მთავარ არხზე“ თქვენს კომენტარს უმადური ადამიანების გატყავებისა და კოცონზე დაწვის შესახებ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ასეთი რეაქცია რით იყო განპირობებული?**

— მოკლე შესავალს გავაკეთებ: „მთავარი არხი“ ანტისახელმწიფოებრივად განწყობილ ადამიანებს აერთიანებს. ისინი, ქვეყანაში, ძალიან დიდი ნეგატიურ ძვრებს იწვევენ. ეს ბირთვი გახლავთ, პირველ რიგში, გვარამია — ყოფილი გენპროკურორი და სააკაშვილის გოშია, მისი მონა-მორჩილი გაბუნია, რომლის განცხადებამაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, უამრავი ადამიანი დაზარალდა, რომელიც ფინანსურად ტურისტების ჩამოსვლაზე იყო დამოკიდებული. საქართველომ დიდი ზარალი ნახა, რაც პირდაპირ აისახა არა გაბუნიაზე, გვარამიაზე, ან ნოდარა მელაძეზე, არამედ ქართველ ხალხზე, რომელმაც ბანკისგან ვალი აიღო. გვარამია, გაბუნია და სხვანი ზღვისპირეთში თუ ჩავლენ, არ მგონია იქედან საღ-სალამათნი დაბრუნდნენ. იმიტომ, რომ მოსახლეობას ეს ვალები მათი ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების გამო ტვირთად დააწვა. რა თქმა უნდა, რუსეთი ოკუპანტია. იგი წლებია საქართველოს ნელ-ნელა იტაცებს, მაგრამ არასწორმა პოლიტიკამ სიტუაცია უფრო მეტად არ უნდა გაართულოს. ევროპაც წნეხის ქვეშ არის იმიტომ, რომ რუსეთზეა დამოკიდებული. მას, ჩვენ შორის, ოქროს შუალედის მოძებნა უწევს. ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ გამოვკვეთო რა ხალხთან მაქვს საქმე. „მთავარი არხიდან“ მელაძემ დამირეკა. ჩემს გამონათქვამს შეურაცხმყოფელი კომენტარები მოჰყვა. ის კატეგორია მლანძღავდა, რომელიც დღე და ღამე ავადმყოფი მიშა სააკაშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნებაზე ოცნებობს, რათა ისევ მისი დრო დადგეს და ქართველი ერი უფრო შემართებით დააჩოქოს. ეს არ მოხდება, რადგან არსებობს ხალხი ვინც სამშობლოს ამ ვიგინდარებისგან სიცოცხლის ფასად დაიცავს. ეს ნაძირლები მუდმივად ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებენ. **ბატონი ბიძინა მხოლოდ სახელი და გვარი, ან კონკრეტული ერთი პიროვნება არ გახლავთ, არამედ ეს არის იდეა, რომლის ქოლგის ქვეშ უამრავი ადამიანი ერთიანდება.** გვარამია და მისთანანი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით მთელს მსოფლიოში არყევენ საქართველოს იმიჯს და სახელმწიფოებრიობას. ივანიშვილი ილია ჭავჭავაძეს შევადარე. მაშინვე გამოხტნენ და ქილიკი დაიწყეს: კურტანიძემ, საერთოდ, თუ იცის ილია ვინ არისო. დიახ, მე, ძალიან კარგად ვიცი ილია ჭავჭავაძე ვინ არის. დიახ, კარგად ვიცი ერის კაცები, რომელთაც საქართველოს საამაყო მემკვიდრეობა დაუტოვეს. ილია ერის საქმეს აკეთებდა, ხოლო მაშინდელი საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრების ნაწილი მას ძირს უთხრიდა. რიგი პოლიტიკური პარტიები მას ებრძოდნენ. გარკვეული ადამიანები მის მკვლელობას ამზადებდნენ. ილიას ცხოვრებაში იყო პერიოდი, როცა მას საგურამოს სახლიდან ეზოში გამოსვლაც კი არ უნდოდა იმიტომ, რომ გრძნობდა რაც მზადდებოდა. სწორედ ბერბიჭაშვილებმა — სააკაშვილის ჯიშმა და ჯილაგმა მას შუბლი გაუხვრიტეს. მერე, აღმოჩნდა, რომ თურმე ილია ყოფილა გენია, ერის მამა და ბოლოს, ყველამ ერთად წმინდანად ვაღიარეთ. ილია ჭავჭავაძის სურათი სააკაშვილს — ამ ნაძირალას კაბინეტში ეკიდა და ამ დროს მკვლელობებს, დანაშაულობებს სჩადიოდა, რასაც ილია, ყოველთვის, ეწინააღმდეგებოდა. მიშა ხალხს აუპატიურებდა, ოჯახებს ღირსებას უყრიდა. სწორედ ამ საქმეს მსახურებენ მელაძეები, გვარამიები, გაბუნიები და ა.შ. ბერბიჭაშვილის სისხლი არსად გამქრალა, აქ ტრიალებს, აი, ასეთ ცოდვით სავსე ადამიანებში. ხალხის უმადურებაც მაგიჟებს. ივანიშვილის დონის ქველმოქმედი ძნელად მოსაძებნია. ავიღოთ, ბოლო ორი პროექტი — აბასთუმანისა და წყალტუბოს აღორძინება. აქ, შენობა-ნაგებობები ინგრევა, გაიძარცვა, ისტორიის გარდა აღარაფერი დარჩა. ამ ისტორიიდან ერის კაცი ძალიან დიდ პროექტს იწყებს, რომელიც ჩვენს შვილებს, მომავალს, ქვეყანას მოხმარდება.

**— თქვენმა კომენტარმა მხოლოდ მიშას მომხრეები აღაშფოთა? თანაგუნდელები როგორ შეხვდნენ ამ განცხადებას?**

— მოგახსენებთ. მეგობრებმა, ვითომ, კეთილის მოსურნეებმა პირდაპირ მითხრეს: ასეთ კატეგორიულ განცხადებებს ნუ აკეთებ, ისევ, შენთვის იქნება ცუდიო. არ მესმის, რატომ იქნება ცუდი?! რადგან შსს-ს პრორექტორი ვარ, ამიტომ ერის კაცის პოზიცია არ უნდა დავიცვა? მეტსაც გეტყვით: ბიძინა ივანიშვილს ილიას და ყველა ერისკაცს შევადრი. მას სხვაზე ნაკლები, თუ მეტი არა, ნამდვილად არ აქვს სამშობლოსთვის გაკეთებული. თანამდებობის გამო რომ გავჩუმდე და ერის კაცის ბიძინა ივანიშვილის პოზიცია არ დავიცვა, ასე, აშენდება ქვეყანა? ის რაც ვთქვი უმადური ადამიანების გატყავებასა და კოცონზე დაწვის შესახებ, ჩემი ემოციაა. დიახ, ძველ ევროპაში — გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ა.შ. ასე ხდებოდა, როცა სახელმწიფოებრიობას საფრთხე ექმნებოდა — ხალხს ატყავებდნენ და კოცონზე წვავდნენ. **თავად გავიარე რეპრესიები, პოსტტრავმული პერიოდი, მაგრამ პირადად მე, ვინც ძელს მაცვა, მაწამა, ამ ადამიანებისთვის არც პასუხი მომითხოვია, არც გამიტყავებია და არც კოცონზე დამიწვავს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს შეურაცხმყოფლებს არ დავინდობ.** ბიძინა ივანიშვილი უდიდეს ქველმოქმედებას ეწევა, ყოველ წამს იმაზე ფიქრში ატარებს, კიდევ რა სიკეთე გაუკეთოს თავის ქვეყანას. მისი შვილების, ოჯახის სიკეთე მსოფლიოში არსებულ ზოგადსაკაცობრიო პრობლემებსაც წვდება. მარტო ლუკა კურტანიძის კი არა, ყველას ვალია ერის კაცის ოჯახს გაუფრთხილდეს. თანამდებობა დროებითია. ერის კაცის იდეას სიცოცხლის ფასად დავიცავ. ამის გამო, ბევრი, ალბათ, მაქილიკებს. ეს სექტა გაღიზიანებულია. ვიმეორებ: ბერბიჭაშვილების სისხლი არსად იკარგება. ჩემი პრორექტორობა დროებითია. ხმის ამოუღებლობა ძალიან დიდი შეცდომაა. ივანიშვილი ის იდეაა, რის ირგვლივაც ქვეყანაში, ბევრი პრობლემების მიუხედავად, ძალიან დიდი იმედი გაჩნდა. ქვეყანაში უამრავი რამ კეთდება. ავიღოთ, რიკოთის უღელტეხილი, სადაც მსოფლიო მასშტაბის პროექტი ხორციელდება, პლუს აბასთუმანის, წყალტუბოს რეაბილიტაცია, ასევე, ქუთაისის საგანმანათლებლო-სამეცნიერო ქალაქად გარდაქმნა. ასე მგონია, მთელი ქვეყანა ივანიშვილის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს, რათა მას რაიმე ავი არ შეეხოს. აი, ეს განწყობა მაქვს. აი, ამ იდეას ვიცავ. უმადური ხალხი კი ივანიშვილს, მის ოჯახს შეურაცხყოფას აყენებს, არადა ერის კაცი ყველაფერს ჩვენი შვილებისთვის, მომავლისთვის აკეთებს. ამიტომაც მქონდა რეაქცია ამ უმადურობაზე. შუა საუკუნეებში ასეთ ადამიანებს ჯერ ატყავებდნენ, შემდეგ ძელზე აკრავდნენ და კოცონზე წვავდნენ, რათა მათ მიწა არ შეეწუხებინა თ. ადამიანების ამ კატეგორიას ზუსტად ასე უნდა მოექცე. მაგრამ ახლა, 21-ე საუკუნეა, მსოფლიო შეიცვალა. ამ მიმართულებით, ყოველთვის, რადიკალური ვიქნები. ეს უმადურობა ოდითგანვე მოგვსდევს — სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ასევე, მწერლები ერის სამსახურში იფერფლებოდნენ, ჩვენ კი ცოცხლად ვჭამდით. ასე ექცევიან ივანიშვილსაც. მის ეროვნულ იდეას მიწასთან ასწორებენ. რა მნიშვნელობა აქვს ადამიანს ტყვიით მოკლავ თუ სიტყვით. ვისაც სინდის-ნამუსი, ეროვნული ღირებულებები არაფრად მიაჩნია, დღეს, სწორედ ასეთი ადამიანები ბოგინებენ. ამიტომ, **მინდა, ყველას მოვუწოდო: მი-**









**ნისტრობა, პარლამენტის წევრობა თუ სხვა იერარქიული მდგომარეობა არაფერია იმასთან, რასაც ერთი ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი აკეთებს. ამიტომ, ყველამ ხმა ამოიღეთ. მარტო ერთმა ლუკა კურტანიძემ კი არ უნდა ამოიღოს ხმა, არამედ ყველამ. არადა, ერის კაცის გუნდის წევრები პირიქით, ხმის ამოღების ნაცვლად, აქეთ, მე, მიწყებენ ქილიკს — რა განცხადებებს აკეთებ, თანამდებობის პირი ხარო. ბოდიში, მაგრამ ყველა თანამდებობისთვის მიმიფურთხებია თუ ამ დიდ იდეას არ გავუფრთხილდებით.** ხაზგასმით მინდა ვთქვა: გადავხედოთ განვლილ ისტორიას. ჩვენი სიჩუმით ქვეყანა სადამდე მივიყვანეთ, კარგად ვხედავთ. ამიტომ, თუ ვინმეს ძალა შეგვწევს, ხმა ამოვიღოთ. სიტყვის თავისუფლება და ცილისწამება ერთმანეთისგან გავმიჯნოთ. როცა პარლამენტარი ვიყავი, ვითხოვდი: ცილისწამებაზე აუცილებლად კანონი შემოგველო. თუ ადამიანს უსაფუძვლოდ ცილს სწამებ, მას სიტყვით კლავ და ეს დასაბუთებული არ არის, ასეთი ქმედება დასჯადი უნდა იყოს. საქართველომ ეს კანონი უნდა აღადგინოს. ეს კანონი სააკაშვილის დროს გაუქმდა, რადგან ასე მის ჯგუფს, „კმარას“ და სხვა სექტანტებს საშუალება ეძლეოდათ ადამიანები, რომლებიც ქვეყნისთვის იხარჯებოდნენ, უსაფუძვლოდ დაედანაშაულებინათ. მერე, კარდაკარ უნდა გევლო და შენი სიმართლე გემტკიცებინა. ამიტომ, უსაფუძვლოდ, ადამიანის ცილისწამება დასჯადი უნდა გახდეს. ავიღოთ, თუნდაც, „მთავარი





არხი“ — ენაზე რაც მოადგებათ, ყველაფერს ლაპარაკობენ, ასე როგორ შეიძლება?! ასე, საქართველოს მომავალი არ ექნება. **ჩვენ, მორჩილი კი არა, ბობოქარი, ემოციით სავსე, დიდი ენერგიის ერი ვართ**. ამიტომ, მას მორალი თუ არა, კანონი უნდა აჩერებდეს. ჩვენ, კანონს ვემორჩილებით. ადრე, ღვედებს არ ვიკეთებდით, ახლა, ხომ ვიკეთებთ, წითელ შუქნიშანზე არ ვჩერდებოდით, ახლა, ხომ ვჩერდებით? ცილისწამების შემთხვევაშიც ასე უნდა მოხდეს იმიტომ, რომ ამ ყველაფერს მომავალი თაობა უყურებს. საქართველოში, დღეს, ფსიქოზია. ერი, უკვე, აშლილია, გასაქანი არ არის, შეიძლება, ეს, სადმე, ძალიან ცუდად აფეთქდეს. ამიტომ, ეს კანონი დროულად უნდა შემოვიღოთ. როცა ერის კაცს მიწასთან ასწორებენ, ადამიანებს ვინც ქვეყნისთვის იხარჯებიან, იფერფლებიან საშინელებებს აბრალებენ, პატრიარქს არ ინდობენ, ლუკა კურტანიძეს დაინდობენ ან თქვენ, დაგინდობენ?

ვის დაინდობენ? ეს ის საზოგადოებაა, რომელიც თანამდებობაზე მოკალათებისა და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად ყველაფერზეა წამსვლელი. **კიდევ ვიმეორებ: ბიძინა ივანიშვილს მარტო სიტყვით კი არა, სიცოცხლით გადავეფარები. თუ ვინმესთვის დისკომფორტია, რომ მე, პროერექტორი ვარ, გამიბედოს და მითხრას, ჩემგან საკადრის პასუხს მიიღებს**. აკადემიის ეზოში რომ შემოვდივარ, აბსოლუტურად, აპოლიტიკური ვხდები. არცერთი პოლიციელისთვის, თანამშრომლისთვის ჩემი პოლიტიკური მოსაზრება თავს არასდროს მომიხვევია, მათ შორის, არც წინასაარჩევნოდ, რაც გარკვეულწილად, როგორც ოფიცრის ჩემი ვალდებულებაა. მე არ ვარ მონა, არამედ თავისუფალი მოქალაქე გახლავართ და ჩემი აზრი გამაჩნია. მომავალ პოლიციელებს მოვუწოდებ: ყოველთვის, კანონი დაიცვან, მაგრამ ამასთან ერთად არ დაავიწყდეთ მორალი, რომელიც ეროვნულ ღირებულებებზეა აგებული. კანონისა და მორალის სინთეზი ქვეყნის გამარჯვების საწინდარია. ასევე, მათ ვეუბნები: არ მოკლან, არ დაასახიჩრონ, არამედ მართალი, დაჩაგრული ადამიანი დაიცვან, არ შელახონ მისი ღირსება. მე, ასე ვზრდი. ვისაც ჩემი პრორექტორობა აწუხებს, მეც და ის საზოგადოებაც რომელიც ჩემს ზურგს უკან დგას, საკადრის პასუხს გავცემთ. **ყველას გადავთელავთ, ვინც ჩემი ერის დაჩოქებას გადაწყვეტს იმ ამორალური ქმედებებით, რაც სამშობლოს ზიანს აყენებს**. ეს არის ჩემი გულწრფელი

აღიარებაც, აღსარებაც, განმარტებაც და ყველაფერი.

**— ლუკა, თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ უმადური ერი ვართ?**

— დიახ, ეს მთელი ეპოქაა. ჩვენ, დემოკრატობანას ვთამაშობთ. დემოკრატია იმას არ ნიშნავს, რომ ერმა რაც გაგაჩნია დაკარგო და სახეშეცვლილმა იცხოვრო. ამერიკელს და დანარჩენ მსოფლიოს იმიტომ ვაინტერესებთ, რომ განსხვავებულნი ვართ ეროვნული ღირებულებებით, საინტერესო ისტორია გვაქვს და ა.შ., თორემ, დუბაის და ნიუ-იორკს ცათამბჯენების შენებით ნამდვილად ვერ დავეწევით. ჩვენი ღირებულებები, ფასეულობები უნდა შევინარჩუნოთ. საქართველოზე ათჯერ მრავალრიცხოვანმა ერებმა, რომელთაც ღირებულებები დაკარგეს, საერთოდ გაქრნენ. ეს სახელმწიფოები დღეს აღარ არსებობენ. რით ვინარჩუნებთ სახელმწიფოებრიობას? — ღირებულებებით, ხომ. კარგი რაც გვაქვს იმას არყევენ და უნდათ, რომ ტიტლიკანა ქალი და კაცი პარადებს აწყობდეს. არა-

**ვის ვერჩი. მთავარია, ადამიანს სამშობლო უყვარდეს, მისი პირადი არ მაინტერესებს, მას არასდროს დავჩაგრავ, მაგრამ როცა ამის რეკლამირებას იწყებს და ეს გარყვნილებაში გადადის, აი, მაშინ მაქვს პროტესტი**. რა საჭიროა ამის აფიშირება. მე ხომ არ ვამბობ: რა კარგი კაცი ვარ, მოდი ძლიერი, მაგარი კაცების პარადი გავმართოთ-მეთქი. ასე, ხომ არ ვამბობ? ყველა რაღაცით ვართ ძლიერი, ყველას საკუთარი მისია გვაქვს, ვიცხოვროთ ჩვენთვის მშვიდად. კიდევ უნდა გავიმეორო: პარლამენტში ზოგ-ზოგიერთები აფიქსირებენ თუ რამდენად დიდი დემოკრატიული ღირებულებებით ცხოვრობენ და თითს მიქნევენ: როგორ შეიძლება ასეთი ემოციური განცხადება გააკეთო, შენ ხომ თანამდებობის პირი ხარო. თანამდებობის პირებს

ფრთები აქვთ, დაფრინავენ თუ რა ხდება? მოვუწოდებ: ყველა ქვევით დაეშვას და პარლამენტში როგორ მოხვდნენ ამაზე დაფიქრდნენ. ისინი ხომ ბიძინა ივანიშვილის ულევი სიკეთისა და სახელმწიფოებრივი მიდგომების წყალობით მოვიდნენ ხელისუფლებაში. ჩამოდით ცოტა ქვევით და ერისთვის გასაგები ადამიანური განცხადება გააკეთეთ. ისე ნუ წარმოაჩენთ თავს, თითქოს, ევროპაში გაჭრილი დიდი პოლიტიკოსები ხართ. არა, თქვენ შემოგევლეთ, ეგრე, არ არის. თქვენი თანამდებობები დროებითია, ხოლო საქმეები რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს, საუკუნეებს გაუძლებს. აი, რას უნდა გავუფრთხილდეთ. არ მინდა კონკრეტულ პირებზე ვისაუბრო-ხოლმე, მაგრამ გუბაზ სანიკიძის უმადურობის, ნაძირლობის შემხედვარე თავს ვერ ვიკავებ. დააკვირდით, როგორ ამაზრზენად საუბრობს გვარამიასთან სტუმრობისას. მისი საქციელი გულისამრევია. გვარამიას — ამ ნაძირალასაც კი არ სჯერა მისი. **სანიკიძის და მისნაირების ადგილი სანაგვეშია. დიახ, ასეთ ადამიანებს, თუ გვინდა რომ გადავრჩეთ, ერი უნდა გაემიჯნოს.**

ყველამ კარგად დაიმახსოვროს: თანამდებობა, ჩემთვის, არის ხელბორკილები. როცა თანამდებობა აღარ მექნება და სახელმწიფო მოხელე არ ვიქნები აი, მაშინ ნახოს ყველამ რას გააკეთებს ლუკა კურტანიძე? — ამ უმადურებს, ნაძირლებს სადაც წამოვეწევი იქ გავატყავებ. მათ ამორალურ სახეს ყველა დაინახავს. ყველამ იცის, რომ მსოფლიო ჩემპიონი ვარ. **სამი ათწლეულია მსოფლიოს ვაგებინებ, რომ საქართველო უძლიერესი ერის ქვეყანაა. ერთი თვის წინ მსოფლიო ჩემპიონობა მეხუთედ მოვიპოვე. ამას ვერცერთი თანამდებობა ვერ შეედრება**. ვიმეორებ: თანამდებობა, ჩემთვის, ხელბორკილია, თუ გნებავთ, პირბორკილიც დაარქვით, ან სიტყვის ბორკილი. ეს თანამდებობა რომ აღარ მექნება მერე, ნახეთ როგორი იქნება მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე. ათასობით ქვეყნის წარმომადგენლები ჩემი დროშისა და ჰიმნის დროს ფეხზე დგებიან. ამას ვაკეთებ. ეს არის ჩემი მისია — ვემსახურო ჩემს ერს და სამშობლოს. დიახ, ჩემი სალი კლდეები მილიონებზე არასდროს გამიცვლია, არადა სხვადასხვა ქვეყნებიდან ასეთი შემოთავაზებები მქონდა. ჩემი მთები, ჩემი ქვების გროვა, როგორც სამაჩაბლოზე სააკაშვილმა თქვა, სხვა ქვეყნის დიდებაზე არ გამიცვლია. ეს გინდ ამპარტავნებაში ჩამითვალეთ, გინდ ქედმაღლობაში. თუ ვინმეს ეჭვი ეპარება ჩემი ისტორია მოიძიოს და დარწმუნდება, რომ ჩემი სალი კლდეები დანარჩენ მსოფლიოზე არ გავცვალე. ჩემი ქვეყნისთვის მებრძოლი ადამიანი ვარ და ეს 12 ოქტომბერს დავამტკიცე, როცა მსოფლიო ჩემპიონი მეხუთედ გავხდი. ჩემთვის არცერთი თანამდებობა ბარიერი არ არის.

**— ლუკა, რამდენიმე თვის წინ ივანიშვილმა ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებაზე ისაუბრა. სწორედ, ამის მერე დაესხნენ თავს „პრო-დასავლელები“. არადა ამ ღირებულებებს ევროპაში ყველა ქვეყანა უფრთხილდება.**

— წინ ძალიან დიდი ბრძოლები გველის. 12 წელი ევროპაში, გერმანიაში ვცხოვრობდი. ვიცი მათი ეროვნული ღირებულებები. მათგან ბევრი ვისწავლე. ამერიკის მადლიერი ვარ, როცა რუსეთი ტერიტორიებს გვართმევდა, გვბომბავდა, ძალიან დაგვეხმარა. მინდა ყველას ვთხოვო: ჩვენ, ქართველები ვართ, ჩვენი ფასეულობები, ინტერესები გვაქვს. მოდი სინთეზი მოვახდინოთ, მათგან, კარგი რაც აქვთ, ის გადმოვიღოთ. ჩვენ, ძალიან მცირერიცხოვანი ერი ვართ. არა მარტო 150 პარლამენტარი, არამედ თითოეული ჩვენთაგანი პოლიტიკას ვქმნით. ჩვენს სფეროში ყველა გამორჩეული ვართ. ისეთი დიპლომატიური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რომ ყველასგან ნაკლები ნეგატივი მივიღოთ. ერი არ უნდა დავაზარალოთ.

**— ერთ წელიწადში არჩევნებია. როგორ ფიქრობთ, „ნაცები“ არჩევნების გზით უნდა დავამარცხოთ თუ ჩადენილი დანაშაულობებისთვის პასუხი ვაგებინოთ?**

— ივანიშვილმა თქვა: ერი გაერთიანდესო. ეს სეგმენტი, სამწუხაროდ, არსებობს და სულ იარსებებს. „ნაცები“ თუ არ ერქმევათ, სხვა სახელწოდებით მოგვევლინებიან, მაგალითად, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და ა.შ. სისხლში ხომ არის სხვადასხვა ფერმენტები. ერი ხომ რაღაცით მოძრაობს, ნაცების ფერმენტებიც ყოველთვის იარსებებს, ხვდებით. აგერ, „რუსთავი-2“ იმ სახით აღარ არის, მაგრამ არის „მთავარი არხი“. ანუ ეს სეგმენტი ყოველთვის იქნება. ახლა, მოსახლეობას, ნულოვანი ბარიერის პირობებში მეტი არჩევანი იქნება. თავიდან, მეც, პოსტ.ტრავმული მდგომარეობა რომ მქონდა, მათ მიმართ საკმაოდ რადიკალური ვიყავი, მაგრამ ამას მტკივნეულად არ უნდა შევხედოთ. ვიმეორებ: ბერბიჭაშვილების სეგმენტი, სექტა ყოველთვის იქნება. მაგრამ ჩვენ ჩვენი ძალაც კარგად ვიცით — ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული, სიკეთეზე ორიენტირებული ძალა, რომელსაც წინ ვერავინ დაუდგება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ამაოება მამაოთა, ანუ იაკობისა და პეტრეს ოინები





(ნაწილი მეორე)

„საერთო გაზეთის„ ერთ-ერთ წინა ნომერში დავწერე სტატია სათაურით – „მამაოთა ამაოება“, სადაც მოგითხრეთ იმ მამაოების შესახებ, რომლებიც ადრე უწესოდ იქცეოდნენ, ან ცოტა არასახარბიელო წარსული ჰქონდათ და ისიც გაზგასმით აღვნიშნე, რომ რაც არ უნდა შესცოდოს მღვდელმა თუ ნებისმიერმა სასულიერო პირმა, ჩვენ არაფრისდიდებით არ უნდა განვუდგეთ უფალს და ეკლესიას. მიუხედავად ასეთი განმარტებისა, „მავნებმა“ მაინც მისაყვედურეს, რაში გჭირდება, მღვდლებსა და მღვდელთმთავრებზე ასე რომ წერო? ჩემი პასუხი ასეთია: ეს მე კი არა, თქვენ გჭირდებათ, სამზარეულოებში წამდაუწუმ მამაოებს რომ აკრიტიკებთ და აცხადებთ, ეკლესიაში აღარ ვივლით, გული გაგვიტყდა, აღარც აღსარებას ჩავაბარებთ, აღარც ჩვენებას მივცემთო. მოკლედ, გეგონება ჩემ წერილს ელოდებოდნენ, იქით ბოდბელი მეუფე იაკობი



დათვრა და იძახა, სამი წლის წინ პრემიერ კვირიკაშვილის კაბინეტში დამიძახეს, ვახტანგ გომელაური და გიორგი გახარიაც მოვიდნენ, ჩალიჩი დამიწყეს, პატრიარქი გადავაყენოთ, მის ადგილზე მეუფე შიო დავნიშნოთო, მოგვეხმარეო, აქეთ ჭყონდიდის მიტროპოლიტი პეტრე ცაავა გაგიჟდა სინოდის სხდომაზე (ისე, არც მანამდე აკლებდა), ცამოწმენდილზე მოინდომა რუის-ურბნისის განჩინებიდან იმ ეპიზოდის წაკითხვა, რომელიც პედერასტობას ეხება და თან პატრიარქს თითქმის პირდაპირ დასდო ბრალი ენით აღუწერელ დანაშაულში. კულუარული ინფორმაციის თანახმად, პეტრემ პატრიარქისკენ ყვირილით გაიწია, ატეხა სკანდალი და როგორც შემდგომში თვითონაც დაადასტურა, მე ვუთხარიო, რომაო, თქვენგან უნაყოფო კერპს ქმნიანო. როგორც ამბობენ, გაგიჟებული პეტრე ლამის ხელით შეეხო პატრიარქს და სინოდის წევრებმა ძალით გამოათრიეს სხდომიდან. მიკროფონის მოყვარულმა ე.წ. ჭყონდიდელმა სატელევიზიო ეკრანებზეც აიწყვიტა, თუ სინოდის თავმჯდომარე, ანუ პატრიარქი მასეთი არაა, რაზე გალიზიანდა, საკუთარ თავზე რატომ მიიღო, ესე იგი მართალი ვყოფილვარო, მე მას ვუთხარი, ხვალ 12 საათზე სხდომა განვაახლოთ და მოწმეებსაც მოვიყვან, სიმართლეს დავამტკიცებო. ერთი სიტყვით, იაკობი ხომ გადაირია, პეტრე კიდევ მთლად გადავიდა ჭკუიდან. არა, ჩვენ კარგად ვიცით, ან ერთს რა ამოძრავებს, ან მეორეს, მაგრამ ორივენი თავიანთ ამბიციებს რომ შეეწირნენ, ეს არის სასაცილო.

ვინ არის და რა უნდა ქორეპისკოპოს იაკობს, ერისკაცობაში კონსტანტინე უსუფის ძე იაკობაშვილს? როგორც ამბობენ, ეს ადამიანი პატრიარქს გამორჩეულად ჰყვარებია და ამაზე მისი რეგალიებიც მოწმობს. თუ რამ ცოდვა აქვს ჩადენილი, ალბათ ეკლესიაში მოინანია, მაგრამ ბოლო დროს აშკარად ისევ აურია – ჯერ თავისი კახური ლექსიკით მიიქცია ყურადღება, შემდეგ ივანიშვილ-გახარიას ლანძღვაზე გადავიდა, მანამდე სააკაშვილს და „ნაციონალებს“ ემუქრებოდა, ყოფას გიტირებთო. თუმცა გიორგი გახარია ყველაზე მეტად აითვალწუნა, თუ ეგ პრემიერ-მინისტრი გახდება, ჩამოვაგდებო. რისი და ვისი ჩამომგდები ხარ, მამაო? წადი რა, სანთელი დაანთე, ილოცე და მრევლს სიმშვიდისკენ მოუწოდე!

რა უთხრა იაკობმა იმ ადამიანებს, ანუ თანამდებობის პირებს, რომლებიც პატრიარქის გადაყენებაზე „ეჩალიჩებოდნენ„?

„მე ვუთხარი, ბიჭო, თქვენ მაგას ვინ გეკითხებათ, ეკლესიამ თვითონ იცის და ცოცხალი პატრიარქის წინაალმდეგ როგორ მიდიხართ-მეთქი. პირველი მე ვიყავი ამ შეხვედრაზე, მერე იყო მეუფე თეოდორე, მეუფე გრიგოლი და მეუფე პეტრე. მეუფე პეტრეს კვირიკაშვილი არ შეხვდა, შეხვდნენ გახარია და გომელაური. ვახო გომელაურს ყოველთვის წესიერი პოზიცია ეჭირა. ყველას აწი მე მივხედავ. ბიძინა ამბობს ხოლმე,



ვინ არის მეუფე, არავინ არ არისო. მე სინოდის ავტორიტეტული წევრი ვარ. მე ძლიერი პოზიციები მაქვს ეკლესიაში„!

ყოფილმა მეუფემ ასევე თქვა, რომ პროკურორები ირაკლი შოთაძე და ოთარ ფარცხალაძე ფულს სძალავდნენ და ამის შესახებ ინფორმირებული იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. იაკობი მურუსიძის და ჩინჩალაძის მოშორებითაც დაიმუქრა.

მიაქციეთ ყურადღება ამ ფრაზას: „მე სინოდის ავტორიტეტული წევრი ვარ. მე ძლიერი პოზიციები მაქვს ეკლესიაში“! იაკობი მსჯელობს არა როგორც სასულიერო პირი, არამედ როგორც გაქნილი პოლიტიკოსი, ან უფრო გაქნილი საქმოსანი, რომელიც ბოლოს დაემსგავსა ზაზა ოქუაშვილს, ფარცხალაძეები და ვიღაცები ფულს რომ სძალავდნენ და სინამდვილეში თვითონ „ჟმოტავდა“ მილიონობით გადასახადს. ისე, დაუკვირდით, ვისაც არ ეზარება, ყველა ფარცხალაძეს ადებს ხელს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ფარცხალაძე სპეციალურად ხელის დასადებადაა შექმნილი და მგონი ბუნებაში საერთოდ არ არსებობს. არ შეიძლება, უბრალოდ შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა ამდენი ხალხი დააშანტაჟოს, დააშინოს და ფული გამოსძალოს. არც ის შეიძლება, ღვთის მსახური ისე გაკადნიერდეს, ისე შეიპყროს პატივმოყვარეობამ, საქვეყნოდ დაიწყოს ტრაბახი, მე სინოდის ავტორიტეტი ვარ, დიდი გავლენა და პოზიციები მაქვს ეკლესიაში, ახლა კი დედას გიტირებთო.

ილია მეორემ იაკობს ურჩია, წავიდეს მონასტერში და მიეცეს სინანულს. ყოფილმა მეუფემ პატრიარქის თხოვნა შეისმინა, ის მიეცა სინანულს. მე კი ვურჩევ, მეტი აღარ დალიოს, მით უმეტეს, თვითონაც გრძნობს, რომ სიმთვრალეში ცუდი ხასიათი აქვს!

რაც შეეხება პეტრე (უკვე პაატა) ცაავას, როგორც გითხარით, სიშლეგეში იაკობსაც გაასწრო და ბარე სხვებსაც. სანამ მის ცოდვებზე მოგახსენებთ, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს ადამიანი ყოფილა უაღრესად პატივმოყვარე და თავნება – როგორც კი პატრიარქმა „თანამდებობიდან“ გადააყენა, ანუ ჭყონდიდის ეპარქიის „უმფროსობა“ ჩამოართვა, ეგრევე პილატე პონტოელი გაიხსენა, ხოლო საკუთარ თავს ქრისტეს მხედარი უწოდა. უკაცრავად, აწ უკვე ბატონო პაატა, მაგრამ ქრისტეს მხედრები არც მოოქროვილი კარეტით დადიოდნენ და არც შავი ჯიპით. მას ძალადობასა და მომხვეჭელობაში ჯერ კიდევ მაშინ ამხელდნენ, როცა პოზიციები არ ჰქონდა შერყეული – პაატა ცაავა ერთ-ერთ ახალგაზრდას, რომელიც ტაძარში ცხოვრობდა, ფიზიკურად გაუსწორდა. ადგილობრივების თქმით, მეუფე პეტრე იფარებდა არსებული ხელისუფლებისგან ძებნილ და ბრალდებულ მაღალჩინოსნებს, მათ შორის მეგის ქარდავას.

„მეუფე პეტრე არის ჩასაფრებული „ნაციონალი“, როლანდ ახალაიას რეგიონის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდო – „წმინდა გიორგის“ ოქროს ორდენი გადასცა პატრიარქმა. ამ ფაქტმა სამეგრელო შოკში ჩააგდო. ცნობილი ფაქტია, რომ მეუფე პეტრეს კედელზე ხატების გვერდით სააკაშვილის სურათი ეკიდა, ახალაიებმა მეუფისთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთეს, დადიანების სახაფხულო რეზიდენციის ეზოში დგას ეტლი, რომელშიც 60 ათასი ევრო გადაიხადეს“, – აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი მაცხოვრებელი. ხოლო ერთ-ერთმა გავლენიანმა ბიზნესმენმა ინკოგნიტოდ ასეთი რამ თქვა: „მეუფე პეტრესთან მივედი, გადავწყვიტე, ჩემი გაჭირვების შესახებ მომეყოლა, რა უბედურებაც ჩემ თავს ტრიალებდა, ავდექი, გვარებითა და სახელებით მოვუყევი, ვინ მებრძოდა, ვინ ახდენდა ჩემზე ზეწოლას, ვინ მართმევდა ქონებას, მან ჩაიცინა და არაფერი უთქვამს. მერე შევიტყვე, რომ ახალაიების სულიერი მოძღვარი და უახლოესი მეგობარი ყოფილა, ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მათთან მიჰქონდა, თავში ხელი შემოვირტყი, მაგრამ უკვე გვიანი იყო“.

ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მარტვილში მამათა მონასტერი 12 -მა ბერმა და მღვდელმა დატოვა.

„2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მათ მეუფე პეტრე ავალებდა, ხალხს პირდაპირ უქადაგეთ, რომ „ნაცმოძრაობასა“ და მიხეილ სააკაშვილის გუნდს დაუჭირონ მხარიო. ვიდრე ციხის სკანდალური კადრები გამოქვეყნდებოდა, მეუფისთვის პირდაპირი წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ბედავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სააკაშვილის ხელისუფლებას საბოლოოდ ნიღაბი ჩამოეხსნა, სასულიერო პირებმა სალხინოს მამათა მონასტერი პროტესტის ნიშნად დატოვეს. სხვათა შორის, იმ 12 სასულიერო პირიდან, რომლებიც ეპარქიიდან წავიდნენ, ერთ-ერთი მარტვილელი მოძღვარი, მამა გოჩა ცაავა იყო. მათი წასვლა უკავშირდება მეუფე პეტრეს მიერ სააკაშვილის ზონდერების გამოძახებისა და ურჩი სასულიერო პირების ძალით დამორჩილების შესაძლო მოლოდინს, რადგან ცნობილია, ერთმა მაღალმა იერარქმა, იმისთვის, რომ განდგომილი ხელქვეითები დაემორჩილებინა, დახმარებისთვის სპეცრაზმს მიმართა და სპეცრაზმმაც უყოყმანოდ აღასრულა უბინძურესი მისია – მღვდლებსა და ბერებს სასტიკად სცემეს. განდგომილი და მთაში გადახვეწილი ბერების ნაწილი პატრიარქთან აპირებდა შეხვედრას, მაგრამ უცნობია, მოხერხდა თუ არა ეს შეხვედრა. პეტრე ხშირად დადიოდა კიევში, ასევე თურქეთში, სადაც ნახულობდა თავის სულიერ შვილს, მიხეილ სააკაშვილს. 2013 წელს ის თურქეთში დათა ახალაიას ესტუმრა. პეტრე თუ პაატა ვერ იტანს ბიძინა ივანიშვილს, თავის მრევლს არწმუნებს, „ქართულ ოცნებას“ ძალიან ცოტა დრო დარჩა, მალე „ნაციონალური მოძრაობა“ დაბრუნდებაო.

პეტრემ პატრიარქს მიახალა, ხვალ მოწმეებს მოგიყვანო. ახლა რომ ის ათი ბერი გამოვიდეს და დაფქვას, როგორ მალავდა იარაღს მონასტრებში და ლამის კედლებზე დადიოდა, სისხლს დავღვრი და სააკაშვილის ხელისუფლებას მაინც დავიცავო, მერე სად მიდის? მისი დავთრების თანახმად, თურმე ინფორმაცია უტყუარად ითვლება, თუ სამი ისეთი მოწმე გამოჩნდა, ვინც ტყუილში არ არის შემჩნეული. სამი კი არა, ათი ბერი არსებობს, ათი!

რაც შეეხება პეტრეს ქონებას და ფულისმოყვარეობას, ამაზე ლეგენდები დადის, როგორც ადგილობრივები ჰყვებიან, ლამის მთელი სამეგრელო გადაჭამა და მიითვისა!

თემა გრძელდება, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ამით არ დამთავრებულა, მოგვიხუცდა პატრიარქი და მიდის ბრძოლა პირველობისთვის, ახალი გავლენების მოპოვებისთვის, ინტერესების გატარებისთვის და ასე შემდეგ. როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ვეღარც კი ითმენს, იმდენად ვეღარ ითმენს, რომ პატრიარქის მოკვდინებაზეც კი არ იტყვის უარს და ამის მცდელობა იყო კიდევაც.

ღმერთო, დალოცე საქართველო და მისი უწმინდესობა, ამინ!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ილია II-ს ქრისტიანები კი არა მუსულმანური სამყაროც უდიდეს პატივს ცემს და ამ დროს ჩვენ რას ვაკეთებთ?

**ბოლო დღეებში საზოგადოებამ ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, არაერთი სკანდალური განცხადება მოისმინა.**

**ვინ ცდილობს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევას, ემუქრება თუ არა მის ერთიანობას საფრთხე და რა ძალები დგანან ჭყონდიდის ყოფილი მიტროპოლიტის დემარშის უკან, ამ თემაზე „საერთო გაზეთის“ პუბლიცისტი ლევან ცალუღელაშვილი ესაუბრა:**

— დავიწყებ იმით, რომ რელიგია ქართული მენტალობისთვის ძალიან მგრძნობიარე თემა გახლავთ. რელიგიასთან დაკავშირებული თემებით ყოველთვის ხდებოდა სხვადასხვა ამბების გადაფარვა და ასეთ თემებზე საუბარი ყოველთვის კარგად იყო გამოყენებული ეკლესიასთან დაპირისპირებული ძალების მიერ. როგორი



პოლიტიკური ინტერესიც არ უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ ჯგუფს, ამ თემით მანიპულირება ქაოსის შექმნის, ძალაუფლების მოპოვებისა თუ დემონსტრირებისთვის ძალიან საგანგაშოდ მეჩვენება. ვფიქრობ, ეს ტენდენცია უფრო საგანგაშოა, ვიდრე გარკვეული ცოდვის მატარებელი ადამიანის შესაძლო არსებობა ეკლესიის წიაღში, რადგან სწორედაც ეკლესიაა ადგილი, სადაც მონანიება და ცოდვასთან შეურიგებელი ბრძოლა უნდა მოხდეს. რეალურად, ვისი და რა ინტერესიც არ უნდა ყოფილიყო მომხდარის უკან, ერის სიწმინდის სიმბოლოსთან, რადაც პატრიარქი გვევლინება, შეხება არ შეიძლებოდა. ძალიან ცუდი მოვლენების მომსწრენი გავხდით, რადგან ქართულ ეკლესიაში განხეთქილების რეალური საფრთხე გაჩნდა.

**— რასაც ალბათ ეკლესიის შიგნით არსებულმა პრობლემებმაც ხელი შეუწყო..**

— ერშიც და ბერშიც ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელსაც რაღაც არ მოწონს. რა თქმა უნდა, ქართული მართლმადიდებლობის წიაღში გარკვეული უკმაყოფილებები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ასეთი მასშტაბური სახე ამას არ მიუღია. ახლა ეს აყვანილია სახელმწიფოს დამანგრეველი პოლიტიკის რანგში, რაც მართლაც საგანგაშოა. ბოლო დროს, საქართველოში ისეთი მოვლენები ხდება, რომ მუდმივად უარყოფითი კონტექსტებიდან გამომდინარე, საზოგადოება უკვე რეაქციის გამოხატვისგანაც დაიღალა და შესაძლოა საფრთხეებს სათანადოდ ვერ აფასებს.

**— სკანდალური განცხადების გაკეთებამდეც და მის შემდგომაც პეტრე ცაავაზე გამუდმებით საუბრობდნენ, რომ ის საკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი იყო. ისიც ითქვა, რომ 2012 წელს ეკლესიაში იარაღს მალავდა და ღიად აცხადებდა სისხლს დავღვრი და სააკაშვილს მაინც დავიცავო.**

— ისევე, როგორც ამბობდნენ, რომ მეუფე იაკობი უშიშროების შეფის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის შვილის ნათლიაო. პოლიტიკურ ფიგურებთან ურთიერთობა, მათი სულიერი მოძღვრობა რა თქმა უნდა, ხდება იმის წინაპირობა, რომ მერე პოლიტიკურადაც დაუჭირონ მხარი და გაატარონ ის ინტერესები, რომლებსაც ესა თუ ის პოლიტიკური ფიგურა ატარებს და მრევლსაც იგივე უქადაგონ. რაც შეეხება მრევლს, ადამიანისთვის რწმენა ძალიან სათუთი და ხელშეუხებელია. ბოლოდროინდელმა განცხადებებმა შესაძლოა, მორწმუნე ადამიანები სასოწარკვეთილებამდე მიიყვანოს. თუ ეკლესიაში პრობლემებია, ამას უნდა ვუმკურნალოთ, მაგრამ ზედმეტი აფიშირების გარეშე, რომ უბრალო ადამიანები არ დაითრგუნონ. საბოლოო ჯამში, ეს საზოგადოებაში ძალიან ცუდ რეაქციებს გამოიწვევს — ვიღაც იტყვის, რომ ღმერთი არ არსებობს, სარწმუნოება არა გვაქვს და შესაძლოა, საკუთარ თავს ისეთი რაღაცეების კეთების უფლება მისცეს, რასაც მანამდე არ გააკეთებდა. ისიც გაიხსენონ, რომ მაცხოვარი ამბობს, თუ შენ ერთ ადამიანს დააბრკოლებ, გირჩევნია, წისქვილის ქვა მოიკიდო კისერზე და ზღვაში გადაეშვაო. ამაზეც დაფიქრდნენ და რწმენას ნუ დაუკარგავენ ადამიანებს ასეთი ცილისმწამებლური განცხადებების აფიშირებით. ნურც იმას დაივიწყებენ რამხელა პატივისცემა გამოხატეს პატრიარქის მიმართ ქართველმა მუსულმანებმა. ბათუმი, პანკისის ხეობა, ვლადიკავკაზი, ოსებიც უდიდეს პატივს სცემენ და დიდ ავტორიტეტად მიაჩნიათ.



**— წლების განმავლობაში, საპატრიარქოსთან ძალიან ხშირი ურთიერთობა გქონდათ. თუ გახსენდებათ, რომ მაღალი სასულიერო იერარქების მიმართ ასეთი მძიმე ბრალდებები გაჟღერებულიყოს?**

— ზოგადად, ეშმაკი ყველას ებრძვის და ცოდვამ შეიძლება ადამიანის გულში დაიბუდოს, მაგრამ ცოდვას ებრძვიან. დავით მეფსალმუნეც კი შეცდა და მთელი ფსალმუნები ამ სინანულს მიუძღვნა. საპატრიარქოსთან მართლაც ძალიან ხშირი ურთიერთობა მქონდა. მიწევდა ურთიერთობა მაშინდელი პრესცენტრის ხელმძღვანელთან ზურაბ ცხოვრებაძესთან, რომელიც შემდეგ მამა ზურაბი გახდა და მასთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. კარგად ვიცნობდი ბასილ კობახიძეს, რომელიც იმ დროს სასულიერო პირი იყო და ერთი პერიოდი, პატრიარქთან დაახლოებული ბრძანდებოდა. როგორც ჟურნალისტს, მქონდა ურთიერთობა შორენა თეთრუაშვილთან და ამ ქალბატონის მხრიდან რაიმე დაბრკოლება, არასწორი დამოკიდებულება ან უხეშობა არასოდეს მიგრძვნია. მქონდა პატივი, სხვა ჟურნალისტებთან ერთად, პატრიარქთანაც ინტერვიუები ჩამეწერა. მოკლედ, საპატრიარქოსთან ჩემი ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ასეთი რამ არ მსმენია, თუმცა, მაინტერესებს მაინცდამაინც, ერთი სახის ცოდვაზე რატომ აკეთებენ აქცენტს? ცოდვა უამრავი არსებობს და ადამიანი ცილს რომ სწამებს, ისიც უდიდესი ცოდვაა.

ზოგადად, პატრიარქის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება დიდი ხანია არსებობს, თუნდაც არასამთავრობო სექტორში. „თავისუფლების ინსტიტუტი“ წლების მანძილზე ახმოვანებდა და დღესაც ახმოვანებს პატრიარქის საწინააღმდეგო პოზიციებს. სხვათა შორის, არსებობს ბერების ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ პატრიარქი თავის დროზე, სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა, მაგრამ არ მომწონს, რომ ასეთი განცხადებები 86 წლის ადამიანთან მიმართებაში კეთდება, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მადლობა ღმერთს, რომ დღემდე მყარად დგას ფეხზე როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ისე სულიერად. მაღალი სასულიწერო წოდება არავის და მათ შორის, არც მეუფე პეტრეს აძლევს უფლებას, რომ პატრიარქს შეურაცხყოფა მიაყენოს და სინოდს არ დაემორჩილოს. ქაოსი და ანარქია სხვა არაფერია.. ბიბლიურადაც, ეშმაკი თავიდან ანგელოზი იყო, რომელიც უფლის ნებას და ანგელოზთა დასს არ დაემორჩილა.



**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბერძნულმა ეკლესიამ პეტრე ცაავას მღვდელმასახურება შესთავაზა.**

— თუ პეტრე ცაავა შეთავაზებას მიიღებს, ჩემი აზრით, ეს იქნება ქართულ ეკლესიაში განხეთქილების შეტანის საფუძველი. ვნახოთ, დრო გვაჩვენებს რა მოხდება. ზოგადად, „ენას ძვალი არა აქვს“ და ვიღაცამ შეიძლება რაღაცა თქვას, მაგრამ სამართალშიც და თეოლოგიურ აზროვნებაშიც ასეა, რომ მტკიცებულების გარეშე რაიმეს დაბრალება ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის ბოდვას ჰგავს. ამბობდა 12 საათამდე მოვიყვან მოწმეებსო, მაგრამ ისეც საკითხავია, რა მოწმეებს მოიყვანდა, კიდევ საკითხავია. საით მიდის ეს ყველაფერი და რის მიღწევას ცდილობენ. საბოლოოდ ალბათ, დრო გვაჩვენებს ყველაფერს.

ნელი თორდია
571 35 36 88

# ვისი ემისარია დედით სომეხი ვლადიმერ ხომერიკი – პუტინის თუ სომხური ლობის?

## რატომ არ აშინებს გამოსირიებულ ოპოზიციას ის, რომ შეიძლება სირიიდან ახალქალაქში პორტირებულ ამერიკულ ჯარს სირიელი სომხებიც თან შემოჰყვნენ...



ბოლო ხანს „რუს და ქართველ ხალხთა ერთობის ფონდის“ პრეზიდენტი ვლადიმერ ხომერიკი რომ გვსტუმრობდა, გვარამიას აწ „მთავარ არხად“ წოდებული კანტორის „ვარსკვლავმა“ დიკო ჯოჯუამ შთაგონებული სახით გვამცნო, პუტინის დაახლოებული პირი, კრემლის ემისარი, მოსკოვის გავლენის აგენტი ჩამოვიდა და ეგრევე ატოცში სდურთა თავიო. რეალურად რას ემსახურებოდა პროფესორ ვლადიმერის ე.წ. საზღვრისპირა სოფელში ჩასვლა, ან რა გააკეთა იქ, ვერაფერს მოგახსენებთ. ისე, ბატონი ხომერიკი ახალციხესაც ეწვია, საქართველო-რუსეთს შორის მეგობრობის აღდგენა აქედან უნდა დავიწყოთო, მაინც და მაინც ახალციხიდან რატომ გადაწყვიტა ამ კაცმა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის აღდგენა, პუტინის ემისრისა რა მოგახსენოთ, მაგრამ რუსეთში მოქმედი ძლიერი სომხური ლობის ემისრის შთაბეჭდილებას ნამდვილად ტოვებს ბატონი ხომერიკი, რაც არც იქნება გასაკვირი, დედა სომეხი ეროვნების ჰყავსო, აღნიშნეს კომპეტენტურმა ადამიანებმა. ამ შემთხვევაშიც გაურკვეველი დარჩა ხომერიკის „ვიზიტის“ დანიშნულება, მათ შორის, იმ ხალხისთვისაც, ვინც საკუთარი ხარჯებით ჩავიდა ახალციხეში ხომერიკისგან რაიმე არსებითის და სასიკეთოს მოსასმენად. ენაკვიმატ გორელებს სამცხეჯავახურმა „ვოიაჟმა“ ძველი ანდაზა გაახსენა, გიჟი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდაო. ხომერიკის ბოლო ვიზიტსაც გორში კვლავ ახლდა კოლექტიური ნაცების „პატრიოტული“ პროტესტი. ჩემს გორელ ახლობლებს რომ ვკითხე, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა-დარეგულირების მომხრეებად მოგაქვთ თავი, ამ დროს ამ კეთილი ნების „დესპანს“ აქციებს უწყობენ გორელები და რაღაცებს ესვრიან, დანარჩენებმა რატომ არ დაიცავით-თქო, ეს ყველაფერი მორიგ სპექტაკლად შეაფასეს. ხომერიკი არავითარი ურთიერთობების მომწესრიგებელი არ არის, ადრე რომ იყო ჩამოსული, ვთხოვეთ შიდა ქართლის მოსახლეობას ხილის დამზადება-ექსპორტში დაგვხმარებოდა, ჩვენი ინფორმაციით, იმ ფონდს, რომელსაც ხომერიკი ხელმძღვანელობს, უზარმაზარი ფინანსები აქვს შემოწირულობების სახით, რომელსაც რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები გაიღებენ. იგი დაგვპირდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა, მაგრამ თითი არ გაუნძრევია, ახლაც ვთხოვეთ, რომ დაგვხმარებოდა, გლეხობას ხილის რეალიზაცია რომ არ გაუჭირდება, აღარ გაიქცევა საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად, შესაბამისად სოფლებიც აღარ დაიცლება მკვიდრი მოსახლეობისგან. ისევ გაურკვეველი პასუხი მივიღეთ, თურმე რაღაცებს გაარკვევს და ა.შ. ხომერიკს ან არაფერი შეუძლია, ანდა იქით დამფინანსებლებს ატყუებს, აქეთ ჩვენ. თუ სასიკეთო არაფერი გააკეთა, ვის რაში ჭირდება მაგის არაფრისმთქმელი ვიზიტები, ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ, ხომერიკის პოლიტიკური მივლინებების ხარჯების „გაპრავებას“, მით უმეტეს, რომ დიდი ეჭვი გვაქვს ნაცების თამაშს თამაშობსო.



წინამდებარე სტატიას რომ ვამზადებდი, მედიასივრცეში გავრცელდა ვლადიმერ ხომერიკის განცხადება, რომ სააკაშვილის მითითებით, ბელგიასა და პოლონეთში მოიერიშე „ბოევიკების“ ორი ჯგუფი, საქართველში შეიარაღებული გადატრიალების მოსაწყობად ემზადება. პროფესორ ხომერიკისთვის ცნობილი ყოფილა მოქმედების სქემაც, „ბოევიკების“ ჯგუფი თავიდან არეულობას გამოიწვევს, რაც შემდეგ „ფერად რევოლუციაში“ უნდა გადაიზარდოს და სააკაშვილის მომხრეების მიერ ძალაუფლების ხელში აღებით უნდა დასრულდესო. ხომერიკის ცნობით, ამ საქმისთვის ძირითადად, „უნა-უნსოს“ წევრ უკრაინელ „ბოევიკებს“ ავარჯიშებენ, რომლებიც თავის დროზე ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და დონბასში იბრძოდნენო. ბელგიაში „ბოევიკების“ მომზადებას, უშუალოდ სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია კურატორობს, აქვე გამოიკვეთა აშშ-ში ნაელჩარი თემურ იაკობაშვილის და ნამინისტრალი „სანტეხნიკის“ ალექსანდრე-კახა ლომაიას სახელები. პოლონეთში „ბოევიკების“ მომზადებას კი ნაპროკურორალი დავით საყვარელიძე, აგვისტოს ომის „გმირი“, „რბილშიდაჭრილი“ ე.წ. გენერალი გიგი კალანდაძე და გიორგი გეგეჭკორი ხელმძღვანელობენო. ამ უკანასკნელში ხომერიკი სავარაუდოდ, თბილისის საპატრულო პოლიციეს ნაცების დროინდელ შეფს გულისხმობს. კოლექტიური ნაცებისა და მათი „კრიშებზე“ მორბენალი ბელადისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ „გონივრული“ ეჭვი მაქვს პროფესორ-პრეზიდენტ ხომერიკის ხსენებულ განცხადებას უფრო სხვა მიზანი აქვს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის გაფრთხილებაა.

პროფესიონალ ძალოვანებს, ვგულისხმობ, უშიშროებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების ოპერთანამშრომლებს ჩემთან ინტერვიუში თუ კერძო საუბარში არაერთხელ უთქვამთ, რომ სპეცსამსახურების სტილია დეზინფორმაციის გავრცელება, პროვოკაციისა და პანიკის დათესვა, თუნდაც ყურადღების სხვაგან გადატანის მიზნით. ბოლო ხანს, საპატრიარქოსთან დაკავშირებით განვითარებულმა პროცესებმა ყველა სხვა საკითხი გადაფარა, „ნაცების მეუფედ“ სახელდებული პეტრე ცაავას და „გუნდის“ ამაზრზენმა განცხადებებმა საქართველოს მოსახლეობის, სხვათა შორის, განურჩევლად მათი ტრადიციული რელიგიური აღმსარებლობისა, უდიდესი რისხვა გამოიწვია, მოეწყო პატრიარქის მხარდამჭერი მრავალათასიანი მსვლელობა, ფაქტია, მართლმადიდებლობის, პატრიარქის, ჭეშმარიტად მორწმუნე სამღვდელოებისა და მორწმუნეების შეურაცხყოფა უმტკივნეულად არ პოლიტიკურსპექტრში, ე.წ. სამოქალაქო სექტორსა თუ სხვა „სექტორებში“ ჩაბუდებულ სოროსის ჭინკებს, რომლებიც ფულის გამო, წინაპრების საფლავსაც გაყიდიან. ამ შემთხვევაში იდეალური „მაშველი რგოლია“ ნაცების მიერ კრემლის ემისრად შერაცხული ვლადიმერ ხომერიკის ვითომდა ანტისააკაშვილური განცხადება, არიქა, რა დროს პატრიარქის და სარწმუნოების დაცვაა, აგერ „ფერად რევოლუციას“ გვიწყობს „ბოევიკთა“ ორი ჯგუფი, საძულველი ნაცებისა და მათი მსოფლიო მასშტაბის კლოუნად ქცეული ბელადის ხელისუფლებაში მოსაბრუნებლადო. ისე, ხომერიკს არ დაუკონკრეტებია, თითო ჯგუფში რამდენი მებრძოლია. აქ მეორე ასე ვთქვათ, ნაღმიცაა ჩადებული, ბოლო ხანს კიდევ ერთხელ გაკეთდა ოფიციალურ დონეზე სერიოზული განცხადება, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის არსებული კავშირები, კიდევ უფრო უნდა გაღრმავდეს. ამ დროს თურმე უკრაინელი „ბოევიკები“ საქართველოში არეულობას გეგმავენ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის მოსაბრუნებლად, რაც რეალობას თუ შეესაბამება სახელმწიფო დონეზე, ცხადია, ქვეყნებს შორის ურთიერთობის გასაფუჭებლად არცთუ უმნიშვნელო მიზეზია. კოლექტიური ნაცების მიერ მართული მედია კი არწმუნებს საქართველოს მოსახლეობას, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, არამარტო უკრაინაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც, მაგრამ ამ ზღაპრების ბოლომდე აღარც ნაცების „მრევლს“ სჯერა. უქმად ჩაიარა ნაცების „მამობილი“ ბაიდენის მცდელობამ, სააკაშვილი ხელმეორედ შეესაღებინათ უკრაინელებისთვის რეფორმატორად და დემოკრატიის შუქურად. ცნობისთვის, ის ვითომდა უტყუარი ინფორმაციაც, რომ დასავლეთი და ბიძინა ივანიშვილი გიგა ბოკერიასა და ევრონაცებს ამზადებენ „ქართული ოცნების“ შემცვლელად, იმავე „ოპერიდანაა“, რომელიც სააკაშვილის მეორედ მოსვლაზე „ღაღადებს“.

სხვათა შორის, თავის დროზე „საერთო გაზეთში“ დაიბეჭდა სტატია, სადაც კომპეტენტური სანდო წყარო აცხადებდა, რომ აფხაზეთის ომი და 80-იანი წლების ბოლოდან დაწყებული არეულობა სამაჩაბლოში, რაც ომით დასრულდა, ამერიკელების ინტერესში იყო, მათი ინიციატივით დაიწყო, რაშიც დიდი როლი ითამაშა იქაურმა სომხურმა ლობმა. შემდგომ განვითარებულ მოვლენებსა და რუსეთ-საქართველოს შორის მუდმივად არსებულ დაძაბულობაში ოკეანისგაღმელი სომხური ლობის გარდა, რუსეთში არსებული სომხური ლობის როლსა და ინტერესებზე, ქართველების გარდა, რუსი პოლიტიკოსები და ჟურნალისტებიც ხშირად საუბრობენ. სანდო წყაროს ცნობით, ქართულ სპეცსამსახურებს დიდი ხნის წინ ჰქონდათ ინფორმაცია, ანუ ჯერ კიდევ იმ დროს, როცა დაწყებული არ იყო ერაყში ომი, რომ ამერიკა სანამ ერაყს „დაარტყამდა“, მანამდე რუსეთი-ირანი-ერაყის დამაკავშირებელი რკინიგზა და საავტომობილო გზაც უნდა გადაეკეტა, რომელიც ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე გადიოდა. ფაქტია, რკინიგზა ყველაზე იაფი და მოსახერხებელი გადაადგილების საშუალებაა, მით უმეტეს მოსახერხებელი იყო აფხაზეთის მონაკვეთი ამიერკავკასიაში შემოსასვლელად. რუსეთი აქედან უპრობლემოდ მიაწვდიდა მძიმე ტექნიკას, იარაღსა და საბრძოლო მასალას ერაყსა თუ ირანს. ხსენებული ინფორმაცია აქტიურად ტრიალებდა, ოღონდ არ ხმაურდებოდა, სავარაუდოდ, ყარაბაღის კონფლიქტიც ამ მიზეზით დაიწყო, რასაც მოგვიანებით აფხაზეთის ომი მოყვა და ერაყში შესასვლელები გადაკეტა. შევარდნაძემ, ვითომდა რკინიგზის დაცვის მოტივით, აფხაზეთში ჯა-





რის ნაწილების შეყვანით დიდი შეცდომა დაუშვა, ეს პროვოკაცია იყო.

სომხეთში მომხდარი „ხავერდოვანი“ რევოლუციასთან დაკავშირებით, „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე **ბესო მიქავას** ძალზე საინტერესო ინტერვიუ დაიბეჭდა „საერთო გაზეთში“. რესპოდენტის განცხადებით, თავად რუსეთს ამ „რევოლუციაში“ არანაირი წვლილი არ მიუძღვოდა, ეს რუსეთში მყოფმა სომხურმა ლობმა გაუხსნა გზა ამერიკას სომხეთისკენ ირანის წინააღმდეგ, სადაც სერიოზული სომხური ლობი არსებობს, სირიაშიც არსებობს ასეთი ლობი. დღევანდელი სომხები იმ არმენების შთამომავლები არიან, რომლებიც სირიაში, კილიკიაში ცხოვრობენო. სწორედ სირიელი სომხების „დამსახურებად“ თვლიდნენ ექსპერტ-ანალიტიკოსები, პოლიტიკოსები, მათ შორის, რუსეთშიც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. ბესო მიქავას განცხადებით, რუსეთმა სომხეთს გაამერიკელების უფლება მისცა, სომხეთში ჩაიდო ამერიკის სომხური ლობის ფული, არადა სომხეთი მორიცხულია, ისინი თვალის დაუხამხამებლად „გადაუვლიან“ მთელ კავკასიას. ეს გეგმა ჩანს, რამდენად განხორციელდება სხვა საკითხიაო.

სომხეთის ბოლომდე გაამერიკელებას დიდი დღე არ ეწერა, სომხეთის ახალგამომცხვარი პრემიერი ნიკოლ ფაშინიანი მალევე ესტუმრა რუსეთს მეგობრობა-პარტნიორობის დასამტკიცებლად, დსთ-ის ფარგლებში თუ სხვა ეგიდით გამართულ შეხვედრებშიც ხშირად მონაწილეობს, მაგრამ სომხეთმა რუსეთის თვალში ბოლომდე მაინც ვერ აღიდგინა ნდობა. რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანმა, რომელიც ჰაერზე არ ისვრის სიტყვებს, განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიაში რუსეთს მთლად სახარბიელო მდგომარეობა არ აქვს და მის პარტნიორად აღიარებული სომხეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასაც აქეთ-იქით გაურბის თვალი. ეტყობა ამ თვალის ცეცების გამომწვევი იყო ოკეანისგაღმელი სომხური ლობის წვრილფეხა რუპორის, ვინმე კოფის განცხადება, სირიიდან გამოსული, ისლამურ სახელმწიფოსთან მებრძოლი ამერიკული სამხედრო შენაერთი საქარ-



რუსეთის მოკავშირედ ითვლება. რუსეთის პოლიტელიტა, მათ შორის, საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი, რომლის სომხურ წარმოშობაზე რუსებიც აქტიურად საუბრობენ, რატომღაც არ აპროტესტებს ამერიკის სომხეთში შესვლას. როგორც კი პუტინი საქართველოს მიმართ რაიმე დადებითს იტყვის, მეორე დღესვე გამოდის ლავროვი და საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებს, დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტიაო. რესპოდენტი მიიჩნევდა, რო რასაც სამხედრო ალიანსი ნატო ემსახურება, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ვერ იგუებდა. ნატოს წევრები დარწმუნდნენ, რომ საქართველო ვერ იქნება ბლოკის სრულუფლებიანი წევრი იმ გაგებით, რომ არ დაიწყებს მართლმადიდებლობის დევნას, გაუჭირდებათ მისი იარაღად გამოყენება, მით უმეტეს კავკასიაში ქართველების კავკასიელებთან ურთიერთობიდან გამომდინარე. ვფიქრობ, ამიტომ გადაწყვიტა ამერიკამ სომხეთში ჩუმი რევოლუციის მოწყობა. სომხეთმა თავის ტერიტორიაზე ნატოს ბაზების დაკანონება რომ შესთავაზოს გარკვეული „საზღაურის“ ფასად, ეს ჩვენი დასავლელი „მეგობარ“-პარტნიორები მთელ კავკასიას შესთავაზებენ კრასნოდარ-სტავროპოლის მხარეებთან ერთად, აფხაზეთი და ეს რეგიონები ფაქტობრივად უკვე ისედაც სომხების ხელშია. სომხეთის ოცნებაა ზღვაზე გასვლა და კავკასიაზე ბატონობა, ამას თუ შეპირდება ამერიკა, ყველაფერს გააკეთებენო. სომხებს არასდროს ექნებათ იდეური ომი ნატოსთან, გასაქართველოში, კერძოდ, ახალქალაქში ყოფილ რუსულ სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ჩავაყენოთ, „საჭიროების“ შემთხვევაში, ოპერატიულად მოახდენს რეაგირებას ტერორისტების წინააღმდეგ, დღეს საქართველო ერაყზე უფრო სანდო ტერიტორიაა ნატოსთვისო. პატარა „რუპორს“ მაშინვე გაუშიფრეს „პატრონის“ ზრახვა, ჯავახეთში ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, საგრძნობლად შემცირდა სომხური მოსახლეობა, რომლებიც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში არიან გასული სამუშაოდ. სომეხი „პატრიოტები“ ამ ამბავმა ძალზე შეაწუხა, დემოგრაფიული „ბალანსის“ აღდგენა სირიელი სომხების ხარჯზე მოინდომეს, ნატოელ სამხედროებს მომსახურე პერსონალი ხომ ჭირდებათ და რაღა შორს წავიდნენ, აგერ არ არიან სირიელი სომხებიო?! ნატოს ჯარის ნარჩენების ახალქალაქში გადმოპორტირების იდეას, საქართველოშიც ხზოს აღტკინებით შეხვდნენ ლიბერასტები, განსაკუთრებით თავდაცვის უწყების ნაპირველკაცარი თუ ნაპირველქალარი, „მშენებელ“ უსუფაშვილის თანამეცხედრე თინა ხიდაშელი აქტიურობდა. რა „სიკეთეებს“ მივიღებდით ამ საქმიდან, ეს ნუსხაც ოპერატიულად მოგვაწოდეს სოროსის ბახალებმა, თუმცა მალევე გაისუსნენ ოკეანეს გაღმა-გამოღმა, გაცხელებული თავები პუტინმა გაუგრილა თუ ტრამპმა ამ „კონტიგენტს“, მაინც და მაინც დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# სხვა დრო

1 ნოემბერს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში ლიტერატურულ-პუბლიცისტური გამოცემების — ჟურნალ „სხვა დროს“ და გაზეთ „სხვა დროს“ პრეზენტაცია-წარდგინება გაიმართა.

დარბაზში შეკრებილი იყვნენ მწერლები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები.

პრეზენტაციის მონაწილეებს მწერალი და ენათმეცნიერი **ავთანდილ არაბული** მიესალმა: — რომელიმე სხვა ქვეყანას რომ ჰქონოდა ისეთი ლიტერატურა, ისეთი კინო და თეატრი, როგორიც ქართველებს გვქონდა, არა მგონია, გაემეტებინათ მისი დაკნინება ეკონომიკის თუ პოლიტიკის სახელით, რადგან ყველამ იცის, რომ ეს არის დიდი სულიერი მემკვიდრეობა და დიდი ეროვნული განძი. ჩვენ კი ყოველივე ეს სიმდიდრე მივეცით დინებას და დინებამ იგი წაიღო გაურკვეველი მიმართულებით.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა იმედი, რომელიც უკავშირდება მწერალთა ეროვნული აკადემიის შექმნას. ახლა აგერ, მწერალთა აკადემიამ ისევ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა. ჯერ გაზეთი იშვა და მინდა ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა ბატონ ვახტანგ ხარჩილავას. გაზეთი „სხვა დრო“ „საერთო გაზეთის“ უბეში იშვა და უკვე გამოიკვეთა მისი სახეც. როგორც ადრე „ლიტერატურული საქართველოსადმი“ იყო საზოგადოების ინტერესი, ასე გაჩნდა უკვე გაზეთ „სხვა დროს“ მოთხოვნილება. გაზეთის შემდეგ დაიბადა ჟურნალი „სხვა დრო“, მწერალთა ეროვნული აკადემიის სპეციალური ორგანო, რომლის რედაქტორიც გახლავთ მწერალი კობა არაბული.

ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ეს და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ იმიტომაც გაუღო კარი ფართოდ ამ ღონისძიებას, რომ მიესალმება და დიდ იმედებს ამყარებს, რომ ინტელექტუალური და ეროვნული ძალების გაერთიანება მოხდება ამ გამოცემის საფუძველზეც.

**კობა არაბული**, მწერალი, მწერალთა ეროვნული აკადემიის თავმჯდომარე, ჟურნალ „სხვა დროს“ რედაქტორი — „მოგესალმებით ჩემო შესანიშნავო ადამიანებო — მეცნიერებო, მწერლებო, ხელოვნების მოღვაწეებო. გვიხარია, რომ ერთად ვართ. გვიხარია, რომ მეცნიერებათა აკადემიამ გაგვიღო კარი, დღეს, როგორც ყოველთვის, ჩვენთან არის ბატონი ელიზბარ ჯაველიძე, ერთ-ერთი დამფუძნებელი მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა ეროვნული აკადემიის, ჩვენთან არის ბატონი ავთანდილ არაბული, პროფესორი, ბატონი როინ მეტრეველი, სხვები და სხვები. ყველას ვერ ჩამოვთვლი.

ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, ერთად თუ არ დავდექით, ამ დროში, აი, ამ სხვა დროში, ვერავის ვერ მოვუგებთ ჩვენს წინააღმდეგ აგორებულ ომს.

სხვა დრო, მითოლოგიის მიხედვით, ისეთი ჟამია, რომელიც უეცრად ჩამოდგება ხოლმე და როგორც ძველი მეანდრეზეებიც ამბობდნენ: ჩამოდგა სხვა დრო და შეიცვალა ყველაფერი.

სხვა დრო შეიძლება დადგეს ერთ წამში, ან დილით გაგეღვიძოს და შენს ქვეყანაში უკვე სხვა დრო იყოს…

ჩვენი ერთი ციცქნა ერი ამ გლობალიზებულ სამყაროში და ლიბერასტულ სივრცეშია მომწყვდეული. რთულია ეს დრო, რადგან ზნეობრივი დეპრესიის დრო და ცნობიერების შეცვლის პერიოდი დგას.

ქართველი ერის ცნობიერებას საოცარი მტერი გამოუჩნდა. ბრძოლა მიმდინარეობს ლიტერატურის, კულტურის, რელიგიის, ეკლესიის წინააღმდეგ.

გუგული ეუბნება ხოგაის მინდის: რატომ ამომთხარე თვალი, გაზაფხული ხომ მე მომყავდაო. მითი მიგვანიშნებს, რომ ბუნებას, სამყაროს ადამიანმა ამოთხარა თვალი. ჩვენი ბრძოლა მოვლენათა, დროთა და ზნეობათა ნგრევის, სამყაროს წინააღმდეგ მიმართული, უნდა იყოს რადიკალური.

რა შეუძლია ამ საქმეში ამ ჟურნალს და გაზეთს, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ“.

**ვახტანგ ხარჩილავა**, მწერალი, პუბლიცისტი, გაზეთ „სხვა დროს“ რედაქტორი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი: მოგესალმებით! ყველას გილოცავთ ამ მშვენიერი ჟურნალის გამოცემას, ახალი გაზეთის დაბადებას.

ძალიან მიხარია, რომ ეს ჩვენი პირველი შეხვედრა და გასაუბრება პატივცემულ საზოგადოებასთან სწორედ აქ, მეცნიერებათა აკადემიაში შედგა.

მეცნიერებათა აკადემიასთან ჩვენ ვაპირებთ საქმიანი კონტაქტები დავამყაროთ და ერთად ვიმოძრაოთ ეროვნული კონცეფციის გადაწყვეტის კუთხით.

ჩვენი გაზეთი და ჟურნალი არის მცდელობა ამ მიმართულებით.

ჩვენ გონიერი და ინტელექტუალური ინტელიგენცია გვყავს, რომლებიც, შეიძლება, არ ჩანან, მაგრამ ისინი არსებობენ და ისინი უნდა გამოვაჩინოთ.

რატომ გაქრა მწერალი საზოგადოებრივი ასპარეზიდან?

რატომ არ ჩანან ისინი ტელეეკრანებზე?

რატომ არავინ ეკითხება მათ აზრს?

ეს არ არის შემთხვევითი ამბავი და ეს უნდა ვიცოდეთ.

აი, აქ გახლავთ პატივცემული, ბატონი ელიზბარ ჯაველიძე.

მე მახსოვს მისი რედაქტორობით გამომავალი „ლიტერატურული საქართველო“. ეს იყო საბჭოთა პერიოდში და თუ მაშინ შეიძლებოდა მკვეთრად გამოხატული ეროვნული ღირებულებების მქონე გამოცემა, დღეს რა ხდება? ჩვენი ბრალია, რადგან ჩვენ ვქმნით ისტორიას იმ პერიოდში, რომელშიც ვცხოვრობთ.

კარგია, რომ ეს შეხვედრა შედგა დღეს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს კომპანიური ხასიათის, უფრო ხშირად უნდა შევხვდეთ და ერთად შევიმუშაოთ კონცეფცია, რომელიც საერთო იქნება მწერლობისთვის, მეცნიერებისთვის, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისთვის, რადგან ჩვენი ქვეყანა დღეს, როგორც არასდროს, საჭიროებს სწორი ორიენტირების შერჩევას. გმადლობთ მობრძანებისთვის, ყურადღებისთვის.

მინდა გისურვოთ დიდი წარმატებები:

**მამა კონსტანტინე** იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე. მოხარული ვარ, რომ ვესწრები ამ შეკრებას, მიხარია, რომ გაჩნდა ჟურნალი და გაზეთი „სხვა დრო“.

ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ სწორად ბრძანა: არ ისმის დღეს, სამწუხაროდ, მეცნიერების, მწერლების, ხელოვანების ხმა, აღარ ისმის ქართული სიტყვა, მეგობრებო, არადა, ყველას გვახსოვს ქართული სიტყვის, ლიტერატურის ზეობის პერიოდები.

საქართველო დღეს მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც წმინდა სხივი კიდევ ბჟუტავს და ანათებს, ისევ იმ უდიდესი სიწმინდეების წყალობით და როგორც წმინდა მამები გვაუწყებენ, ანტიქრისტე აქ ტახტს ვერ დაიდგამს.

გამოსავალი ჩვენი დღევანდელი მდგომარეობიდან, არის გაერთიანება. გაერთიანება ეკლესიისა და ღმერთის სახელით.

გილოცავთ დღევანდელ დღეს — დღეს ლუკა მახარებლის ხსენების დღეა. ის, მოგეხსენებათ, მხატვარიც იყო და ექიმიც.

გილოცავთ ჟურნალ „სხვა დროს“ და გაზეთ „სხვა დროს“ დაარსებას.

პრეზენტაციას მიესალმნენ: აკაკი გასვიანი, გურამ პეტრიაშვილი, ელდინო საღარაძე, გიორგი გილიგაშვილი, გური ოტობაია, ზელიმხან მაღრაძე და სხვები.

შეხვედრა-პრეზენტაცია იმ იმედით და ენთუზიაზმით დამთავრდა, რომ ეს ლიტერატურულ-პუბლიცისტური გამოცემები ხელს შეუწყობს ქართული სულიერების გამოცოცხლებას და აღორძინებას.

მოამზადა
**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# გადაივლის თუ არა ტრამპი „დემოკრატების“ „ბეწვის ხიდზე“?

„ცხელი წერტილები“ სამყაროში დღეს მრავლად არის. საერთაშორისო ტერორიზმს მთელ რიგ ქვეყნებში შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები დაემატა. დებატები ქუჩის აქციებმა ჩაანაცვლა, რაც ხშირად სამართალდამცავებთან ხელჩართულ შეტაკებაში გადადის. მშვიდი შიდა პოლიტიკური ვითარება არც ამერიკის შეერთებულ შტატებშია, რომელიც დღემდე სტაბილურ ზესახელმწიფოდ ითვლებოდა. ქვეყანაში შიდა პოლიტიკური ვითარება თითქმის ყოველდღე სულ უფრო მწვავდება.



პოლიტიკაში არის პერიოდები, როდესაც სიტუაცია იცვლება. საამისოდ ცივილიზებულ ქვეყნებში არჩევნებია. ზუსტად ერთი წლის შემდეგ აშშ-ი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. თუმცა, იქაური პოლიტოლოგები ვერაფერს ამბობს, თუ როგორ მივლენ არჩევნებამდე. აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჯერ კიდევ სათავეში მოსვლისას განაცხადა, რომ მეორე ვადითაც აპირებდა თეთრ სახლში დარჩენას. დღევანდელი არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ექსპერტები ეჭვობენ, რომ ტრამპი შეძლებს პირველი ვადის დასრულებას.

პესიმიზმის საფუძველი მართლაც არსებობს: გასულ კვირას კონგრესის წარმომადგენლობით (ქვედა) პალატამ მიიღო რეზოლუცია დაიწყონ პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტის პროცედურა. ერთი შეხედვით გასაკვირი არ არის კონგრესის გადაწყვეტილება, რადგან გაპრეზიდენტობამდე დაიწყო ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლა წესების გარეშე დემოკრატიული პარტიის მხრიდან. თუმცა, პოლიტოლოგები ვარაუდობდნენ, რომ მსგავს მკვეთრ ზომებზე არ წავიდოდნენ დემოკრატი კონგრესმენები. აღსანიშნავია, რომ ტრამპი მეოთხე პრეზიდენტია აშშ-ის ისტორიაში, რომლის წინააღმდეგაც ააგორეს იმპიჩმენტის პროცედურა.

საინტერესოა, თუ რატომ აითვალწუნეს დონალდ ტრამპი. გვახსოვს მისი წინასაარჩევნო დანაპირები — გაპრეზიდენტობისთანავე ამოაშრობდა „ვაშინგტონის ჭაობს“. ტრამპმა, ასევე არაერთხელ განაცხადა აშშ-ი გლობალური სახელმწიფო აღარ იქნებოდა, ანუ პირველ პლანზე ქვეყნის ინტერესებს დააყენებდ. ამასთან, სხვა ქვეყნების შინაურ პოლიტიკურ მოწყობას საქმეებში აღარ ჩაერეოდა აშშ-ი და ცხელ წერტილებიდან გაიყვანდა ჯარებს. პოლიტოლოგების განცხადებით, სწორედ დემოკრატები არიან გლობალიზმის მომხრეები და დამცველები. ამიტომაც იყო და არის ტრამპის პოლიტიკა მათთვის სრულიად მიუღებელი. ამერიკელი პოლიტოლოგები იმასაც ამბობენ, დემოკრატები იმდენად გააბრუა სიძულვილმა, ვერ ხვდებიან უკან დაუბრუნდებათ ნეგატიური განწყობა გაცილებით უხეში ფორმითო.

დონალდ ტრამპის „ჩასაძირად“ დემოკრატებმა რუსეთთან იგი მჭიდრო კავშირში დაადანაშაულეს. იქამდეც მივიდნენ რუსეთის აგენტობასაც აბრალებდნენ. სპეცპროკურორ მიულერის ჯგუფის ორწლიანმა გამოძიებამ ვერავითარ დანაშაულებრივ ქმე-



დებას ვერ მიაკვლია და ფუჭად დაიხარჯა 30 მილიონი. რუსეთის შემცვლელი მალევე მოძებნეს — უკრაინის ახალარჩეული პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი. აქაც ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში— გამოქვეყნებულ ტრამპი-ზელენსკის საუბრის სტენოგრაფიულ ჩანაწერში არანაირი ზეწოლა და მუქარა არ დაფიქსირდა. თუმცა, დემოკრატები ჯიუტად ადანაშაულებენ ტრამპს. მოწმედ მოყავთ სპეცსამსახურის თანამშრომელი, რომელმაც თითქოს მოისმინა ტრამპი-ზელენსკის საუბარი. აღსანიშნავია, რომ ეს თანამშრომელი 2017 წლის ზაფხულში გადაიყვანეს თეთრი სახლიდან სხვა სამსახურში, როგორ მოისმენდა იგი ტრამპის საუბარს 2019 წელს, გაუგებარია. იგივე პოლიტოლოგების განცხადებით, დემოკრატები ახლა იმდენად ცუდ მდგომარეობაში არიან, ყველაფერზე წავლენ. ამის გარდა, უკრაინაში დემოკრატების გარკვეულმა წრემ იმდენად მოითბო ხელი, მოსალოდნელია თავადვე „აუფეთქდეთ უკრაინული ნაღმი“.

თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით მზად არიან შესაძლო იმპიჩმენტის საპასუხოდ. ადმინისტრაცია საყვედურობს კონგრესს იმპიჩმენტზე დროის ფუჭად ხარჯვის გამო, იმის ნაცვლად, რომ ქვეყნისთვის რაიმე კარგი გააკეთონო, აცხადებენ. თავად დონალდ ტრამპი იმპიჩმენტის პროცედურას კვლავ „კუდიანებზე ნადირობას“ უწოდებს. მისისიპში ტრამპმა შეხვედრა თავის მომხრეებთან გამართა, სადაც დემოკრატები ავადმყოფებად მოიხსენია. „...წარმოიდგინეთ, ვესაუბრები უკრაინის ახალარჩეულ პრეზიდენტს. ვიცოდი, რომ მისმენდა უამრავი ხალხი, ასევე როგორც ზელენსკის, როგორ გგონიათ, ვიტყოდი ისეთ რამეს, რომელიც კანონის დარღვევად ჩამეთვლებოდა?“ — მიმართა ტრამპმა მხარდამჭერებს.

იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებას დონალდ ტრამპის რეიტინგზე არ უმოქმედია. საარჩევნო კამპანიისთვის უკვე 120 მილიონი შეაგროვა. კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი ჩქარობს, საკომიტეტო მოსმენების დაწყება ამ თვეში სურს, რომლებიც საჯარო იქნება. გასულ კვირას გამოცემა „ვაშინგტონ პოსტმა“ კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა ტრამპს. გაზეთის ინფორმაციით, უკრაინა და მისი ხელისუფლება ტრამპს თავიდანვე ეჯავრებოდა, რადგან არჩევნებში ჰილარი კლინტონს უჭერდნენ მხარსო. ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა და ახლა უკვე ტრამპის ერთ-ერთმა კონკურენტმა ჯო ბაიდენმა სირიიდან ჯარების გაყვანის გამო




გააკრიტიკა — არასწორი პოლიტიკის გამო რეგიონში ასადის და რუსეთის პოზიციები გამყარდაო. ამ დროს თავად ბაიდენის რეიტინგი დაეცა დემოკრატ კანდიდატებს შორის იგი მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითდა. აქედან გამომდინარე იგი აღარ ითვლება ტრამპის უპირობო კანდიდატად.

სირიიდან ჯარები დონალდ ტრამპს სრულიად არ გაუყვანია, პირიქით, გააძლიერა კიდეც, რომლებიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ნავთობსაბადოებს გააკონტროლებენ. „...ნავთობი ჩვენია. თუ ვინმე მოინდომებს და შეგვეცილება, ჩვენთან ბრძოლა მოუწევს. სირიის საზღვარი ვისაც უნდა იმან გააკონტროლოს, თუნდაც თურქეთმა, მე ძალიან მომწონს ნავთობი“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა. ამის გარდა გასულ კვირას ირანს ახალი სანქციები დაუწესა.

ერთი შეხედვით დონალდ ტრამპი აქტიურად მუშაობს. თუმცა, ექსპერტების შეფასებით ბევრი პრობლემა აქვს. გასულ კვირას, აშშ-ს იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ქვეყნის შიდა ვალმა 23 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. გაპრეზიდენტობისას ვალი 20 ტრილიონი იყო, რომელიც გაიზარდა, მიუხედავად აშშ-ი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა.ამის გარდა, დონალდ ტრამპი საცხოვრებლად ნიუ-იორკიდან ფლორიდაში გადადის. „...მილიონობით გადასახადებს ვიხდი, მაგრამ აქ რატომღაც მაინც არ ვუყვარვარ“. განაცხადა გულდაწყვეტილმა. მისისიპში მხარდამჭერებთან ისიც განაცხადა, იძულებული ხდება პირდაპირ ეთერში თავად წაუკითხოს მოსახლეობას ზელენსკისთან საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი, რათა დაარწმუნოს თავის სიმართლეში. მისივე სურვილია უახლოეს მომავალში ვაშინგტონში უმასპინძლოს ვლადიმირ ზელენსკის, ვიზიტის შემთხვევაში (რაზეც, სავარაუდოდ ზელენსკი უპირობოდ დათანხმდება) ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

კონგრესმა, ფაქტობრივად კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა დონალდ ტრამპის რეპუტაციას. აშშ-თურქეთს შორის გამწვავებულ ურთიერთობის ფონზე, კონგრესმა თურქეთის მხრიდან სომხების გენოციდი (1915 წელს) აღიარა. სომხური ლობის აქტიური მუშაობის მიუხედავად, აშშ-ი გენოციდის აღიარებისგან თავს იკავებდა, რადგან თურქეთი ნატოში მთავარი მოკავშირეა და არ უნდოდათ გაენაწყენებინათ. თურქეთისთვის სანქციების დაწესების და გენოციდის აღიარების მიზეზად კონგრესმენებმა სირიაში საბრძოლო მოქმედების დაწყება და რუსეთისგან საჰაერო თავდაცვის სისტემის შ-400 შეძენა დაასახელეს. გენოციდის აღიარებამ, თურქეთში მწვავე რეაქცია გამოიწვია. აშშ-ს ელჩი თურქეთში სასწრაფოდ დაიბარეს საგარეო საქმეთა სამინისტროში. მინისტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ კონგრესის გადაწყვეტილებას სამარცხვინო უწოდა. პოლიტოლოგებმა გენოციდის აღიარება შურისძიებად შეაფასეს. აშშ-ი შიშობენ მოსალოდნელ საპასუხო ზომებზე. რით უპასუხებს თურქეთი საინტერესოა. პოლიტოლოგები არ გამორიცხავენ თურქეთმა პროტესტის ნიშნად ალიანსი დატოვოს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა არ შეასრულა დანაქადი — მოვკვდები და 31 ოქტომბრამდე დავტოვებთ ევროკავშირსო. ჯონსონს თვითმკვლელობა არც უცდია „ბრექსიტი“ 31 იანვრამდე გადაიდო, რომლის განხორციელება ახალ პარლამენტს მოუწევს. არჩევნები 12 დეკემბერს არის დანიშნული. 100 წლის მანძილზე პირველი შემთხვევაა, როდესაც ბრიტანელებს შობის წინ მოუწევთ არჩევნებზე მისვლა.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# ოცდაერთი გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის

„ახალი ტექნოლოგია უზომო ძალაუფლებას მისცემს პიროვნებათა მცირერიცხოვან ჯგუფს, მაგრამ ამის იქით, უფრო ღრმად, ნამდვილი ძალაუფლება იქნება ალგორითმების ხელში. ვინაიდან იქ იმდენი მონაცემია შეგროვებული და გაანალიზებული რომ ვერც ერთი ადამიანი ვერ გააკეთებს ამას. საზოგადოებამ ზეწოლა უნდა მოახდინონ მთავრობაზე რათა მან მოახდინოს პირადი მონაცემების რეგლამენტაცია იმისთვის რომ ისინი არ გამოიყენონ ხელისუფლებამ თუ ფირმა-საწარმოებმა“. ეს „გაფრთხილება“ იერუსალიმის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორს, ბესტსელერის „კაცობრიობის ისტორია“ და „მომავლის მოკლე ისტორიას“ ავტორს **იუვალ ნოე ჰარარს** ეკუთვნის. გასული წლის ბოლოს მან გამოაქვეყნა ახალი კვლევა „ოცდაერთი გაკვეთილი ოცდამეერთე საუკუნისთვის“.

ერუდიტები უნდა ემსახურებოდნენ ჭეშმარიტებას სოციალური ჰარმონიის ფასადაც? როცა



ვწერდი ჩემს ბოლო წიგნს „გაკვეთილები 21-ე საუკუნეში“ ჩემს წინ მდგარი დილემა ეხებოდა ლიბერალიზმს. ერთის მხრივ ვფიქრობ რომ ლიბერალური ისტორია არასრულყოფილია, რომ ის არ ამბობს ჭეშმარიტებას ადამიანზე და კაცობრიობაზე და ოცდამეერთე საუკუნეში რომ გადავრჩეთ და ეკონომიკური კეთილდღეობა გვქონდეს ლიბერალიზმზე უფრო შორს უნდა წავიდეთ. მაგრამ ეხლა ლიბერალური ისტორია ფუნდამენტალურია მსოფლიო წესრიგის ფუნქციონირებისთვის. მეტიც, ლიბერალიზმს ეხლა უტევენ რელიგიური ფანატიკოსები და ნაციონალისტები რომლებსაც სწამთ ბევრად უფრო საშიში და მავნე ნოსტალგიური ფანტაზიებისა. მაგრამ მე თავისუფალი დისკუსია მირჩევნია გაჩუმებას და თვითცენზურას თუ ცენზურას. მე მწამს როგორც ლიბერალური დემოკრატიის ძალისა ისე მისი რეორგანიზაციის აუცილებლობისა. ლიბერალიზმის დიდი უპირატესობა სხვა იდეოლოგიებთან შედარებით ისაა რომ ის მოქნილია და უსულო. ის სხვა სოციალური წყობებისგან განსხვავებით იტანს კრიტიკას.

ლიბერალიზმი არის ერთადერთი სოციალური წყობა რომელიც ადამიანებს აძლევს მის საფუძვლებზე დაფიქრების უფლებას. ლიბერალიზმმა უკვე გაუძლო სამ დიდ კრიზისს: პირველ მსოფლიო ომს,

1930-ანი წლების ფაშისტურ გამოწვევას და 1950–1970-ანი წლების კომუნისტურ გამოწვევას. თუ კი ფიქრობთ რომ ლიბერალიზმი ეხლა რთულ მდგომარეობაშია გაიხსენეთ თუ რამდენად უფრო უარეს მდგომარეობაში იყო ის 1918–1938–1968 წლებში. ლიბერალიზმისთვის მთავარი გამოწვევა დღეს არის ლაბორატორია და არა ფაშიზმი თუ კომუნიზმი. 1968 წელს ლიბერალური დემოკრატიები თითქოს შავ დღეში იყვნენ. თვითონ მათ საზღვრებს შიგნით იყო ჯანყები, მკვლელობები, ტერორისტული თავდასხმები და ულმობელი იდეოლოგიური ბრძოლები.

რომ ყოფილიყავით ვაშინგტონში მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის შემდეგ, პარიზში 1968 წლის მაისში ან 1968 წელს დემოკრატების პარტიის კონვენტზე ჩიკაგოში იფიქრებდით რომ დასასრული და ბოლო ახლოს იყო.

ვაშინგტონში, ჩიკაგოში და პარიზში იყო ქაოსი მაშინ როდესაც მოსკოვში და ლენინგრადში სუფევდა სიწყნარე და საბჭოთა სისტემა ურყევი და უკვდავი ჩანდა. ოცი წლის შემდეგ საბჭოთა სისტემა დაემხო. 1960-ანი წლების შეტაკებებმა გააძლიერეს ლიბერალური დემოკრატია. საბჭოთა ბლოკის მომგუდველი სისტემა კი მოასწავებდა მის გაქრობას. ვიმედოვნებთ რომ ლიბერალიზმი გაუძლებს მორიგ გამოწვევასაც. მაგრამ დღეს მთავარი საფრთხე ლიბერალიზმისთვის არის ლაბორატორია და არა ფაშიზმი, კომუნიზმი თუ მთელ მსოფლიოში გავრცელებული დემაგოგები და ავტოკრატები. ეხლა მთავარი საფრთხე მოდის ლაბორატორიებიდან. ლიბერალიზმი ეფუძნება რწმენას ადამიანის თავისუფლებაზე. ვირთხების და მაიმუნების საწინააღმდეგოდ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ „თავისუფალი ნება“. ეს ადამიანურ გრძნობებს და არჩევანს აქცევს სამყაროს უმაღლეს მორალურ და პოლიტიკურ ავტორიტეტად. ლიბერალიზმი გვეუბნება რომ ამომრჩეველმა ყველაზე უკეთესად იცის, რომ კლიენტი მუდამ სწორია და რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ ჩვენი საკუთარი თავით და უნდა მივდიოთ ჩვენ საკუთარ გულს.

სამწუხაროდ „თავისუფალი ნება“ არაა მეცნიერული რეალობა. ესაა ქრისტიანული თეოლოგიის მითი.

თეოლოგებმა განავითარეს „თავისუფალი ნების“ იდეა იმის ასახსნელად თუ რატომ სჭირდება ღმერთს ცოდვილთა დასჯა და წმინდანთა დაჯილდოება მათი არჩევანის შესაბამისად. თუ ჩვენი არსებობა არაა თავისუფალი რატომ უნდა დაგვსაჯოს ან დაგვასაჩუქროს ღმერთმა? თეოლოგების თქმით ჩვენი არჩევანი გამოხატავს ყველანაირი ფიზიკური და ბიოლოგიური შეზღუდვისგან თავისუფალი ჩვენი მარადიული სულების თავისუფალ ნებას და ამიტომ ღმერთი იქცევა გონივრულად როცა სჯის ცოდვილს და აჯილდოვებს წმინდანს.

მაგრამ დღევანდელი მეცნიერება სულ სხვა რამეს ამბობს ჰომო საპიენსზე და სხვა ცხოველებზე, მეტყველ და პირუტყვ ცხოველებზე. ადამიანებს აქვთ ნება, მაგრამ ეს არაა უმიზეზო. თქვენ ვერ გადაწყვეტთ იმას თუ რა წადილი უნდა გქონდეთ. თქვენ ვერ გადაწყვეტთ ინტროვერტი უნდა იყოთ თუ ექსტრავერტი. თქვენ ვერ გადაწყვეტთ მოსვენებული უნდა იყოთ თუ შეშფოთებული. თქვენ ვერ გადაწყვეტთ ჰომოსექსუალი უნდა იყოთ თუ ჰეტეროსექსუალი. ადამიანები ირჩევენ ხოლმე, აკეთებენ არჩევანებს, მაგრამ ეს არაა დამოუკიდებელი არჩევანი თუ არჩევანები. ყოველი არჩევანი დამოკიდებულია მრავალ ბიოლოგიურ, სოციალურ და პიროვნულ პირობაზე რომლებსაც ჩვენ თვითონ ვერ განვსაზღვრავთ. მე შემიძლია ავირჩიო თუ რა უნდა ვჭამო, თუ ვინ უნდა მოვიყვანო ცოლად, თუ ვის უნდა მივცე ხმა არჩევნების დროს, მაგრამ ჩემს ყოველ არჩევანს ნაწილობრივ განსაზღვრავენ ჩემი გენები, ჩემი ბიოქიმია, ჩემი სქესი, ჩემი ოჯახის და გვარის ისტორია, ჩემი ეროვნული კულტურა, და ასე შემდეგ და მე არ ამირჩევია ჩემი გენები და წინაპრები. ეს არაა აბსტრაქტული თეორია. ამაში იოლად დარწმუნდებით. დააკვირდით პირველივე აზრს რომელიც მოგივათ თავში. საიდან მოდის ის? თავისუფლად გადაწყვიტეთ მასზე ფიქრი? ცხადია რომ არა. თუ კი ყურადღებით დააკვირდებით თქვენს საკუთარ სულს თქვენ დაინახავთ რომ თქვენ ძალიან სუსტად ან სულაც ვერ აკონტროლებთ იმას რაც ხდება იქ და თქვენ არ ირჩევთ თავისუფლად თუ რა უნდა იგრძნოთ, თუ რა უნდა იფიქროთ, თქვენ ვერ აკონტროლებთ იმას რაც უნდა თქვენს სულს. „თავისუფალი ნება“ ყოველთვის იყო მითი, მაგრამ წინა საუკუნეების მანძილზე ის სასარგებლო მითი იყო. ამით გამხნევებულები გაბედულად უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ მეფეთა ღვთაებრივ უფლებას, ინკვიზიციას, კგბ-ს, მაგრამ ეხლა „თავისუფალი ნების“ რწმენა მოულოდნელად საშიშ რამედ გადაიქცა. თუ კი მთავრობები და საწარმოები მოახერხებენ ადამიანი ცხოველის პირატაჟს მანიპულაციისთვის ყველაზე იოლი ინდივიდები იქნებიან ისინი ვისაც სწამთ თავისუფალი ნების არსებობისა. ადამიანების პირატაჟისთვის საჭიროა ორი რამ: ბიოლოგიის კარგი ცოდნა და ძლიერი ანგარიში. ინკვიზიციას და კგბ-ს არ ჰქონდათ ეს ცოდნა. მაგრამ მალე ფირმა-საწარმოებს და მთავრობებს შეიძლება ჰქონდეთ ორივე. მაშინ ფირმა-საწარმოებს და მთავრობებს ექნებათ თქვენი არჩევანის წინასწარ პროგნოზირების უნარი, მეტიც, ისინი შესძლებენ თქვენს გრძნობათა რეორგანიზაციას. ამის გასაკეთებლად ფირმა-საწარმოებს და მთავრობებს არ დასჭირდებათ თქვენი სრულყოფილად ცოდნა. ეს შეუძლებელია. ისინი უბრალოდ უნდა გიცნობდნენ ცოტა უფრო უკეთესად ვიდრე თქვენ იცნობთ თქვენს თავს. ეს კი არაა შეუძლებელი იმიტომ რომ ადამიანთა უმრავლესობა არ იცნობს თავის თავს ძალიან კარგად. თუ კი გწამთ ტრადიციული ლიბერალური ისტორიისა თქვენ უბრალოდ გაცდუნებთ ამ გამოწვევის უარყოფა. „არა, ეს არ მოხდება არასდროს. ვერავინ ვერასოდეს ვერ მოახერხებს ადამიანის სულის პირატაჟს ვინიდან ადამიანის სულში არის რაღაც რაც ბევრად მეტია გენებზე, ნეირონებზე და ალგორიტმებზე. ვერავინ მოახერხა ჩემს არჩევანთა წინასწარ ამოცნობა და ჩემი არჩევანით მანიპულაცია ვინაიდან ის არის ჩემი თავისუფალი ნების ანარეკლი.“ სამწუხაროდ გამოწვევის უარყოფა ვერ გააქრობს გამოწვევას, ეს თქვენ უფრო დაგასუსტებთ. ყველაფერი იწყება მარტივი რამეებით. როდესაც უყურებთ ინტერნეტს თქვენს ყურადღებას იპყრობს სათაური: „იმიგრანტთა ბანდამ გააუპატიურა ადგილობრივი ქალები“. თქვენ უწკაპუნებთ მას. ამავე დროს თქვენი მეზობელიც უყურებს ინტერნეტს და მის ყურადღებას იპყრობს სხვა სათაური: „ტრამპი ემზადება ირანისთვის ბირთვული ყუმბარის სასროლად“. ის აწკაპუნებს ამ სათაურზე. ეს ორი სათაური ალბათ რუსი ტროლების ან სარეკლამო შემოსავლების გაზრდის მსურველი ვებ საიტის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციებია. თქვენ და თქვენს მეზობელს გაქვთ იმის გრძნობა რომ თქვენ თქვენი საკუთარი ნებით დააწკაპუნეთ ამ სათაურებზე, მაგრამ სინამდვილეში თქვენ პირატირებული იყავით. თუ კი მთავრობები მოახერხებენ ადამიანი ცხოველის პირატირებას ყველაზე იოლად მანიპულირებადნი იქნებიან ისინი ვისაც სწამს თავისუფალი ნებისა. ცხადია რომ პროპაგანდა და მანიპულაცია არაა ახალი რამე, მაგრამ ადრე ისინი ფუნქციონირებდნენ როგორც გასაფენი ფარდაგები. ეხლა კი ისინი გადაიქცა ზუსტი დამიზნების ჭურვებად. რადიოთი მოლაპარაკე ჰიტლერი უმიზნებდა უმცირეს საერთო მნიშვნელს იმიტომ რომ მას არ შეეძლო თავისი ნათქვამის ტვინთა უნიკალურ სისუსტეებთან ადაპტაცია. ეხლა კი სწორედ ამის გაკეთება გახდა შესაძლებელი. ალგორითმს შეუძლია მინიშნება იმაზე რომ თქვენ გაქვთ ცრურწმენა იმიგრანტების წინააღმდეგ, მაშინ როდესაც თქვენს მეზობელს არ უყვარს ტრამპი, რაც ხსნის იმას თუ რატომ ხედავთ თქვენ ერთ სათაურს მაშინ როდესაც თქვენი მეზობელი ხედავს მეორეს. ბოლო წლებში მსოფლიოს ზოგი ყველაზე გონიერი ადამიანი მუშაობდა ადამიანის ტვ ინის პირატაჟზე რათა გიბიძგონ რეკლამებზე დაწკაპუნებისკენ და მოგყიდონ რაღაც ნაწარმი. ეხლა ამ მეთოდებს იყენებენ რათა მოგყიდონ პოლიტიკოსები და იდეოლოგიები. ეს მხოლოდ დასაწყისია.






**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

# მხიარული რომანი

## პოლიტიკური ნოველა

ბატონო რომან, ბატონო რომააან, ბატონო რომააააააან! – გამოეკიდნენ პარლამენტის შენობიდან გამოსულ რომან გოცირიძეს ჟურნალისტები. ჰმ... აჟიყინდნენ, რა უნდათ ნეტავ? – ჩაიცინა ულვაშებში რომანმა და ფეხი შეანელა. ეს ერთგვარი სვლა იყო, ჟურნალისტებს თან უნდა გაექცე, თან უნდა დაუდგე, რათა დააინტრიგო.

– ბატონო რომან, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ...

– ტყუილია მაგი, ტყუილი, გასაგებია?! – არც კი დაამთავრებინა შეკითხვა ლამის მუხლებში ჩავარდნილ „მთავარი არხის" ჟურნალისტს.

– ერთი წუთით, ბატონო რომან... ივანიშვილმა განაცხადა, რომ ზეგ წყალტუბოს ყიდულობს შემდგომი ავვავების მიზნით, ამაზე რა კომენტარს გააკეთებდით? – შეუძვრა „მთავარი არხის" ჟურნალისტი იღლიაში.



– ხომ გითხარით, ტყუილია-მეთქი?!

– რა არის ტყუილი, არ იყიდის?

– იყიდის ერთ ლარად, მაგრამ არ ააყვავებს. მისი ავვავებულ-გაკეთებული რამე გინახავთ?!

– ამბობენ, თეატრები გაარემონტაო, ეკლესია-მონასტრები, შეკვეთილში საკონცერტო დარბაზი ააშენაო, დენდროლოგიური პარკიო, აბასთუმანში სოლცრებებს აშენებსო, ბოლოს და ბოლოს სამება ხომ ააშენა? – დაიჭყა „იმედის" ჟურნალისტი, რომელმაც რომანს უკნიდან შემოურბინა.

– ტყუილია, ბლეფია, არაფერი მაგას არ აუშენებია და გაურემონტებია, ეგ ყველაფერი გააკეთა მიშამ!

– როგორ, სამებაც? – შეხტა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" წარმომადგენელი.

– დიახ, სამებაც ააშენა მიშამ და კიდევ ექვსასი ეკლესია. ბიძინას პარკები, თეატრები, აბასთუმანი და ყველაფერი არის მირაჟი, გეჩვენებათ!

– მე ვიყავი დენდროლოგიურ პარკში, ბატონო რომან, ძაან მაგარი რამეა! – ჩაჰყვირა ყურში „მაესტროელმა".

– არ არსებობს, შენ იქნებოდი მიშას მიერ აშენებულ ბათუმში, ბუშლება, დენდროლოგიური პარკი არ არსებობს, ეგეც მირაჟია, გეჩვენებათ... თავი დამანებეთ, სახლში ფისო მელოდება!

ბატონმა რომანმა მანქანის კარი გამოაღო, უკანმოუხედავად ჩაუხტა მძღოლს და ბრძანების კილოთი მიმართა, ჩქარა, წავედით, წაიღეს ტვინი ბიძინათი, ამ ოხრებმაო.

– ეჰ, გაძლება მოგცეთ ღმერთმა, ბატონო რომან, – ჩაილაპარაკა ღიპიანმა მძღოლმა და მანქანა ამოჭქა.

– ჰიიიჰ, გულს არ უნდა მიაკარო ავი ამბები, ჩემო ჯემალ... შენ იცი, ვინ დაწერა „დიდოსტატის მარჯვენა"?

– რას ამბობთ, ბატონო რომან, ეგ ვინ არ იცის? – ახითხითდა მძღოლი.

– აბა, ვინ დაწერა?

– მიშამ!

– ნუ, ეხლა, მთლად სწორი პასუხი ვერ გამოგივიდა, მაგრამ ძალიან ახლოს ხარ! – გამხიარულდა ბატონი რომანი.

– ეგ ის არაა, რატომ კარგი აგიგიაო, რომ უთხრეს, ქვეყნიდან გააგდეს და მერე ოდესაში გუბერნატორად დანიშნეს? – ხასიათზე მოვიდა მძღოლიც.

– ჰო, ჯემალ, შენ ყველაფერი იცი, თადუმაძემ კიდე არაფერი იცის. კაცი გენერალური პროკურორია, თან მოსამართლეობა უნდა და ამ დროს თურმე დიპლომიც კი არ გააჩნია. დიპლომი ჯანდაბას, არ იცის, ვინ დაწერა „დიდოსტატის მარჯვენა". დღეს მინდოდა მეკითხა, „ბაკულას ღორები" ვინ დაწერა-მეთქი, მაგრამ ველარ მოვასწარი, მამუკა მდინარაძე ჩამიხტა. ერთი ეგ არი კიდე უვიცი და გაუნათლებელი!

– ეჰ, ბატონო რომან, ყველა თქვენნაირი განათლებული რომ იჯდეს პარლამენტში, ხომ აშენდებოდა ქვეყანა? – თქვა ჯემალმა და თვალი რომანისკენ გააპარა იმ იმედით, უმფროსს ვასიამოვნეო.

– აი, მე რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ვიყავი, უნდა გენახა, ალბათ ნახავდი, ლარი რა მყარად იდგა ფეხზე!

– მახსოვს, მაგ პერიოდში მილიარდერები ვიყავით, კუპონები გვქონდა ოხრად.

– რა, მაგდენი მილიონერ-მილიარდერი გვყავდა ოდესმე?!

– ეჰ, კარგი დრო იყო, კარგი, – მთლად გავაზელინდა ჯემალა.

– ჰოოოო... აი, მანდ გააჩერე, ზვალ ცხრაზე გამომიარე, – ჩაიღიღინა ბატონმა რომანმა.

შელეხულ კარში კატა შეეგება, კუდი აპრიხა, უკანა ფეხი გაჭიმა და დაიკნავლა.

– მოვედი, ფისუნიიი... მართალია, დღეს ძალიან გაბრაზებული ვარ, მაგრამ შენ მაინც არაფერს გერჩი, შენ ერთადერთი ხარ, რომელიც არ მაბრაზებ, – მოუზლიქა ენა ბატონმა რომანმა, შემდეგ კი ფლოსტები შემოიცვა და სამზარეულოში შეფრატუნდა ყავის მოსადუღებლად.



რომანმა ჰალსტუხი დაუდევრად მოიძრო და დივანზე წამოგორდა. ფურთბალიში კისერთან ამოიდო, ყავა მოსვა და თვალები მინაბა. ამ ცხოვრების დედა ვატირე, – გაიფიქრა უნებლიედ, – მე ბანკის პრეზიდენტი ვიყავი და ტეტია ბიძინას ფული აქვს, ეს სამართალია? არ არი ქვეყნიერებაზე სამართალი, არც ურმით დადის და არც „ბენტლით". აბა, ჭორვილელი გლეხი სოლოლაკის თავზე უნდა ცხოვრობდეს, საქართველოს დღევანდელობას განაგებდეს, გადაწყვეტილებებს იღებდეს, თავადი მიშა კიდევ უკრაინაში იჯდეს და ერთ ადგილს იფხანდეს? არა, არ გამოვა ეგრე, ეს უსამართლობაა, სადაც წვრილია, იქ უნდა გაწყდეს. ისე, რა გინდა რა, მე კი ვუწევ წინააღმდეგობას ამ ჭორვილელს და მის ამფსონებს, მაგრამ არ არის საკმარისი, ლამის ყველა იყიდა, ყველა გააქსუა და გადარია. არადა, როგორ იმედებს ვამყარებდი გიგა ბოკერიაზე, გიგი უგულავაზე, დათო ბაქრაძეზე... როცა მიშა ზენიტში იყო, მუხლებს უკოცნიდნენ, აღარ არი ზენიტში და ჯართიაო. ჰმ... ჯართიო, ამ მართლა ჯართებმა. აი, მხოლოდ ნიკანორი გამოდგა კაცი, რამდენს იტანს, რამდენს თმობს, როგორ რისკზე მიდის ეს ყმაწვილი. აგერ, ფეხზე თუ ხელზე სამაჯური შეაბეს, დღე და ღამე უთვალთვალებენ, ერთხელაც არ დაუჩივლია, ერთხელაც არ უთქვამს, ხალხო, მეტი აღარ შემიძლიაო. არ გაიყიდა, არ წაიწყმიდა სული. რომანმა თვალები გაახილა, ტელეფონი რეკავდა. ზანტად წამოიწია, ეკრანს დახედა, უცნობი ნომერი იყო. ერთი კი გაიფიქრა, მოგტ...ენია პატრონი, ვინც არ უნდა იყოს, მაგრამ მაინც დააჭირა თითი მწვანე ღილაკს.

– ალო, რომან, როგორ ხარ?

– უკეთესადაც შეიძლებოდა, ბიძინა რომ არ იყოს საქართველოში, – მიუგო ბოხხმიან მავანს.

– ვერ მიცანი?

– ააა... კი, გიცანი, გუბაზი ხარ, ბიჭო?

– ჰო, გუბაზი ვარ, ეტყობა, არ ელოდი ჩემ ზარს.

– რომ გითხრა, ისე ველოდი, ვოცნებობდი-მეთქი, მოგატყუებ.

– მოკლედ, შაყირს მოუკვდა პატრონი და ერთი სათხოვარი მაქვს.

– ოღონდ არ მითხრა, ისტორიული რომანი დავწეროთო, დანარჩენზე თანახმა ვარ, – ჩაიხითხითა ბატონმა რომანმა.

– ისტორიულ რომანს არა, მაგრამ საქართველოს უახლეს ისტორიას აუცილებლად დავწერთ, როცა ივანიშვილს გავუშვებთ პოლიტიკურ სანაგვეზე!

– „ნუ, ეტო, დრუგოე დელო"!

– მოკლედ, მიშასთან მინდა შეხვედრა და უნდა ჩამიწყო.

– მოიცა, მიშა საააკაშვილთან? – წამოჯდა დივანზე ბატონი რომანი.

– აბა, მიშა მშვილდაძესთან შეხვედრას არ სჭირდება ჩაწყობა.

– ოჰ, შენც კაი ხუმარა ხარ ჩემსავით, მიყვარს იუმორისტი ხალხი.

– ჰა, მიშასთან შეხვედრა მოსულა?

– ალბათ... მგონი მიშას უნდა გაუხარდეს კიდევაც. რას აპირებ, ჩვენ მხარეს ხარ?

– ჯერ არ ვიცი, ჩავალ კიევში, ვისაუბრებთ ამ ქვეყნის სვე-ბედზე და მერე გადავწყვეტ, მაინტერესებს მისი ხედვები.

– მიშას ხედვები ზეპირად ვიცი, შე კაცო, მოდი ჩემთან და მოგიყვები.

– კარგი რა, რომან, მასთან პერსონალური საქმეც მაქვს.

– საიდუმლოა?

– ნუ, როგორ გითხრა...

– თუ არ გინდა, ნუ მეტყვი, – მიუგო სასხვათაშორისოდ რომანმა.

– კარგი, რომ არ გეწყინოს, გეტყვი... ბიძინამ ჯადო რომ გამიკეთა, მაგ ამბავი გაიგე, ხომ?

– კი, რაღაცას მოვკარი ყური, გუბაზმა თავის ბალიშში ჯადო იპოვაო, დაჭყლეტილი სანთელი, მიწის ქოთი, ნემსი და ყვავის ბუმბულიო.

– ჰო, ეგ არი.

– მერე მიშა რა შუაშია?

– გუშინ აქუ იყო ერთ-ერთ ცნობილ მკითხავთან სარითჭალაში და იმ მკითხავს უთქვამს, გუბაზის ჯადო რომ გაუკეთა ივანიშვილმა, მისი მოხსნა მხოლოდ მიშა სააკაშვილს შეუძლიაო.

– რაღა დაგიმალო, ჩემო გუბაზ, მიშას არა მარტო ჯადოს მოხსნა, გაკეთებაც შეუძლია, ერთადერთი, ვის წინააღმდეგაც ვერაფერი გააწყო, ბიძინა ივანიშვილია, რომელსაც მსოფლიოში უძლიერესი ჯადომაზები ჰყავს დაქირავებული. კი, ბაზარი არ არი, მე ვთხოვ და მოგიხსნის, ეგ არაა პრობლემა. ისე, ჯადოების გაკეთება და ილუზიონისტობა მეც შემიძლია, მე რომ ფული გაგაკუპონე, მაგას ვინმე შეძლებდა?

– ჰო, რომან, ვიცი შენი შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ აქუმ მითხრა და ვალერი გელბახიანიც დაეთანხმა, რომ მიშა უფრო მაგარია, რაღაც სითხე ჰქონია, დაგალევინებს და ეგრევე გეხსნებაო. თუმცა თავისებური ლოცვებიც სცოდნია.

– რა თქმა უნდა, მიშა უფრო მაგარია, დავურეკავ და აუცილებლად მიგიღებს, როდის აპირებ?

– ახალ წლამდე მინდა, 2020 წელს ჯადოს გარეშე უნდა შევხვდე.





გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# სიყვარული, როგორც ნარკოტიკი...

**ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ წიგნებში, სიმღერებში, ლექსებში, მხატვრულ ფილმებში ნამდვილ სიყვარულს უმღერიან. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ ნაწარმოებებში, ძირითადად, სიყვარულს კი არა, სიყვარულზე „დამოკიდებულებას“ უმღერიან – მძიმე დაავადებას, რომელიც ხშირად ანგრევს ადამიანის პიროვნებას და მას ცხოვრებით ტკბობის საშუალებას ართმევს...**



## ადამიანი-ნარკოტიკი

ფსიქოთერაპევტებისთვის სიყვარულზე „დამოკიდებულების“ ბევრი ფაქტია ცნობილი. უფრო მეტიც, ისინი თვლიან, რომ ხშირ შემთხვევაში, ეს სწორედ არაჯანსაღი ადამიანების ურთიერთობებია, რომლებიც სიყვარულს სხვა ადამიანის საშუალებით საკუთარი შინაგანი ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზად მიიჩნევენ.

ნამდვილი სიყვარული კი — ეს პარტნიორული ურთიერთობებია, სადაც ორი ჰარმონიული პიროვნებაა, რომლებიც ისწრაფვიან, რაც შეიძლება მეტი მისცენ ერთმანეთს. თუ ერთ-ერთი მათგანი სადმე წავიდა თუნდაც დიდი ხნით, მეორე დეპრესიაში კი არ ვარდება და არ ეჭვიანობს, არამედ აგრძელებს სრულფასოვან ცხოვრებას, უყვარს პარტნიორიც და საკუთარი თავიც.

სიყვარული ორმხრივი გრძნობა უნდა იყოს, რომელიც ორივე პარტნიორს ბევრ სასიამოვნო შეგრძნებას და სიხარულს ანიჭებს. სწორედ ესაა ნამდვილი სიყვარული. თუ სიყვარული ტანჯვას განიჭებთ, ცხოვრებას გინგრევთ და პრობლემებს გიქმნით — ეს სიყვარული კი არა, მძიმე დაავადებაა — სიყვარულზე „დამოკიდებულება“, რომლისგანაც თავის დასაღწევად ისევე უნდა იმკურნალოთ, როგორც ნარკომანიისგან ან ალკოჰოლიზმისგან. ის ადამიანი, რომლის მიმართაც ეს ავადმყოფური გრძნობა გაგაჩნიათ, ნარკოტიკი ხდება. მის გარეშე სიცოცხლეც არ გინდათ. გეწყებათ ე. წ. „ლომკები“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — გინდათ, რომ ის მუდამ თქვენს გვერდით იყოს. ხოლო თუ „ნარკოტიკი“ „ნარკომანს“ გაურბის, ეს „ლომკები“ იმდენად მტკივნეული ხდება, რომ დაავადებულმა შეუძლება თავიც კი მოიკლას.

რაც ყველაზე საინტერესოა, ხელოვნების ნაწარმოებების უმეტესობა სწორედ ასეთ სიყვარულზე „დამოკიდებულებას“ უმღერის — სწორედ იმგვარ ურთიერთობებს, რომელშიც საყვარელი ადამიანი ნარკოტიკია და მის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს.

რატომ არის მიღებული სიყვარულზე „დამოკიდებულებისთვის“ ხოტბის შესხმა? იმიტომ, რომ ნამდვილი სიყვარული ტანჯვასთან, ტკივილთან და სიძულვილთან არაფრით არის დაკავშირებული და საინტერესო არ არის. სხვა საქმეა ცრემლები, განშორება, ისტერიკები... ჩვენთვის ეს სიტყვები უკვე დიდი ხანია, სიყვარულის სინონიმებად იქცა, თუმცა, სინამდვილეში, მათ სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვთ — ეს ყველაფერი სიყვარულზე „დამოკიდებულებაა“...

## ძალიან, ძალიან...

როგორ უნდა მიხვდეთ, ნამდვილად გიყვართ თუ „დამოკიდებული“ ხართ? ამერიკელი ფსიქოთერაპევტის რობინ ნორვუდის წიგნში „ქალები, რომლებსაც ძალიან ძლიერ უყვართ“, სიყვარულზე „დამოკიდებული“ ადამიანების ასეთ ახსნას შეხვდებით: „თუ სიყვარული ტანჯვას გვანიჭებთ, ე. ი. ძალიან გვიყვარს. თუ მეგობრებთან და ახლობლებთან ჩვენი საუბარი მხოლოდ „მას“ ეხება — მის პრობლემებს, გრძნობებს, აზრებს და ყველა ჩვენი წინადადება იწყება სიტყვებით „ის“... — მაშინ ჩვენ ძალიან გვიყვარს.

თუ მის უხასიათობას, ცუდ განწყობას, ყველაფრის მიმართ გულგრილობას, აგრესიულობას ბავშვობაში გადატანილ პრობლემებს ვუკავშირებთ და მისთვის ექიმად გვინდა ვიქცეთ, მაშინ ძალიან გვიყვარს. როცა მისი ხასიათის ბევრი თვისება, ფასეულობები, მოქცევა არ მოგვწონს, ამას ვურიგდებით და ვფიქრობთ, რომ თუ უფრო ნაზები და მომხიბლველები გავხდებით, ისიც შეეცდება ჩვენი გულისთვის შეიცვალოს, მაშინ ჩვენ ძალიან გვიყვარს.

თუ ჩვენი ურთიერთობები საფრთხეს უქმნის ჩვენს ემოციურ კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და უსაფრთხოებასაც კი, მაშინ ძალიან გვიყვარს“.

ფსიქიკურად ჯანსაღი ადამიანი არ მისცემს არავის უფლებას, დაამცირონ, აწყენინონ, არ გაითვალისწინონ მისი ინტერესები და არ დაინტერესდნენ მისი პრობლემებით. „დამოკიდებული“ ადამიანებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ისინი ქმნიან კუმირს. მათ ფანტაზიებში სიყვარულის ობიექტი რეალურისგან ბევრად განსხვავდება. მასზე გადადის ყველა გრძნობა, მისი სახება იდეალური ხდება, უარყოფით თვისებებზე თვალს ხუჭავენ, ხოლო ღირსებები კი გამოგონილია.

„დამოკიდებული“ იგონებს რომ ის უყვართ, პარტნიორის საქციელის გამართლებას პოულობს მაშინაც კი, თუ მის მიმართ არავითარ ყურადღებას არ იჩენენ და გაურბიან კიდეც. იგი ყოველთვის წინააღმდეგობას ეჯახება, რის გამოც იმდენად ძლიერ იტანჯება, რომ სიცოცხლის გაგრძელებისთვის ძლივს პოულობს ძალებს.

ჯანმრთელი ადამიანი, პარტნიორის დაკარგვის შემთხვევაშიც კი აგრძელებს ცხოვრებას, სჯერა საკუთარი თავის, აქვს მომავლის იმედი და მადლიერია ბედისწერის, რომ მას ასეთი ბედნიერება მიანიჭა — ნამდვილი სიყვარული.



# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *



**— ჩემს მიწის ნაკვეთს არ აქვს სარწყავთან დამაკავშირებელი ხაზი. შემიძლია თუ არა, მომიჯნე მეზობლის ნაკვეთით ვისარგებლო, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა?**

– წარმოგიდგენთ სამართლის ნორმას, რომელიც სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

* * *

**— ჩემი შვილის მიმართ სასამართლომ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი. შეუძლია თუ არა მას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება?**

– რა თქმა უნდა, თქვენს შვილს შეუძლია მოითხოვოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამართალმწარმოებელთა მხრიდან უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური/ იგულისხმება ხარჯები, მათ შორის, ადვოკატის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები, გზის ხარჯები, პატიმრის შენახვის ხარჯები და ა. შ. დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით/, ფიზიკური/ იგულისხმება ჯანმრთელობის შერყევასთან დაკავშირებული ხარჯები, დადასტურებული შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტებით და სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით/ და მორალური ზიანის ანაზღაურება.

* * *

**— შეიძლება თუ არა ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მოხმარების გამო, მოხდეს პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა?**

— შეიძლება, ოღონდ ეს არ ეხება ერთჯერად მოხმარებას. ადგილი უნდა ჰქონდეს ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერების ბოროტად გამოყენებას. დაგიკონკრეტებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლის მითითებით:

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

# საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ცუდ დროს „დაიბადა“. მისი დაბადების თარიღი უნდა შესწორდეს



*გვესაუბრება*
*ასტროლოგი*
*თორნიკე ბიძინაშვილი*

— **თორნიკე, რა გავლენას ახდენს და როგორ მოქმედებს დღევანდელ ჩვენს ცხოვრებასა და პოლიტიკაზე ახლა არსებული პლანეტარული და ვარსკვლავური განლაგებები?**

— საქმე ისაა, რომ ასტროლოგები საქართველოს დაბადებას დროს და საათს 1991 წლის 9 აპრილით ითვლიან, ეს გახლავთ თარიღი, როცა გამოცხადდა დამოუკიდებლობა. აქედან ვაკეთებთ პროგნოზებს გარკვეულ მოვლენებზე.

— **რას ბრძანებთ, საქართველო ადრე დაბადებული არ იყო და 1991 წლის 9 აპრილს იშვა?**

— მანამდე სხვა თარიღით, ასე ვთქვათ, რეგისტრირდებოდა.

— **გთხოვთ დააზუსტეთ.**

— არის სახელმწიფოებრივი დაბადება, როგორც ეთნოსის დაბადება და ა.შ.



მაგრამ მნიშვნელოვანია ერის ეთნოლოგიური დაბადება, ის მისი არსებობის ერთგვარ ფონს ქმნის.

საქართველო საკმაოდ ძლიერი ეთნოსისაა, ამ მხრივ ძლიერი რუკა გვაქვს, რაც საშუალებას აძლევს ჩვენს ქვეყანას მრავალჯერ ტრანსფორმირდეს და გაუძლოს სირთულეებს.

საქართველოს ეთნიკური, ანუ წარმოშობისდროინდელი რუკა ასტროლოგს, ქალბატონ ლია ბარათაშვილს აქვს გამოკვლეული და შემიძლია შემოგთავაზოთ.

— **სიამოვნებით მოვისმენთ. ოღონდ, იქნებ, ერის ხასიათზე გაამახვილოთ ყურადღება რუკის მიხედვით.**

— „უმთავრესი, რასაც სიმბოლირებს პლანეტა მთვარე მუნდანურ რუქაში, არის ერში გაბატონებული მოთხოვნილებები. მთვარე კუროში — ძირითადი მოთხოვნილებაა სტაბილურობა მე-10 სახლში. — ეს მოთხოვნილება ერს უმთავრეს მიზნად აქვს დასახული და მისკენ მიისწრაფვის. ასე იყო ადრე და ასეა ახლაც. სტაბილურობის მიღწევაში ხელს გვიშლის შინაგანი მზაობა რევოლუციური ცვლილებებისადმი (ტრინი მთვარე-ურანი), ასევე არადისციპლინირებულობა (ტრინი მთვარე-ნეპტუნი).

მთვარე კუროში იძლევა მატერიალური სიკეთეებისადმი სწრაფვას. ყველასთვის ცნობილია ქართულ სუფრის ისეთი სიუხვე, რომ იგი ხანდახან უხერხულობამდეც კი მიდის. ქართველი დიასახლისი უკანასკნელს გამოიტანს, მაგრამ არავის აჩვენებს, რომ მის ოჯახს უჭირს. ეს უკვე არის მთვარის კვადრატი იუპიტერთან. ხოლო მთვარის ასპექტები ურანთან და ნეპტუნთან ხელს უშლის ამ სიკეთების გამრავლებასა და დაგროვებას.

მთვარე მართავს ერის ქალურ ნახევარს, განაგებს ერის მიმართებას ქალის, როგორც საზოგადოების წევრისადმი და, ზოგადად, ქალურობისადმი. ქალის, დედის თემა, ფაქტობრივად, კულტი, ქართველებისთვის განსაკუთრებით სათუთია და არა მხოლოდ მხატვრული შემოქმედების, არამედ ყოველდღიური ყოფის დონეზეც. რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ რუსულ თოქ-შოუში ქალებს მამაკაცების შედარების ტესტი შესთავაზეს. აუდიტორია მივიდა დასკვნამდე, რომ მხოლოდ ქართველი მამაკაცის გვერდით შეიძლება იგრძნო თავი სრულფასოვან ქალად. მანდილოსნისადმი მიდგომის ქართული სტერეოტიპი ასე აღიქმება სხვა ერის ქალების მიერ. თუმცა, ასეთი აღქმის მიზეზი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ქართველი მამაკაცები არიან.

ერის ჰოროსკოპში მამაკაცებს აღწერს მზე. ჩვენს შემთხვევაში, იგი მშვილდოსანშია. მშვილდოსანს კი თავის გამოჩენა უყვარს. იგი უტევს მახვილსიტყვაობით, თავბრუს ახვევს ყურადღებით და აცდუნებს ფანტასტიკური გეგმებით. შეყვარებული ქართველი კი ნებისმიერი იმ ქალის ოცნებაა, ვინც მამაკაცების რწმენა დაკარგა. იგი წარმოუდგენლად მზრუნველი, ყურადღებიანი, რომანტიკული და მგრძნობიარეა.

ჰოროსკოპი კარგად აღწერს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობებს ჩვენს საზოგადოებაში. ქართველი ქალი არ არის უაზროდ ეჭვიანი, მაგრამ იგი მესაკუთრეა და მისი წარმოდგენა სიყვარულზე საკუთარი გამორჩეულობის გრძნობას ემყარება. თუმცა მას უწევს შეურიგდეს თავისი მამაკაცის სწრაფვას თავისუფლებისაკენ, მის გადატვირთულობას კონტაქტებით, რისკიან წამოწყებებსა და მრავალრიცხოვან მეგობრებს“...

— **ძალიან კარგი, მაგრამ ახლა როგორია საქართველოს ასტროლოგიური რუკა?**

— შეიძლება ითქვას, არასახარბიელო ვითარებაში ვართ.

სახელმწიფოს მაღალი თანამდებობების პირების ცვლილება, მინისტრების გადაყენება და ა.შ. ჯერ კიდევ არის მოსალოდნელი.

ლილიტი, ე.წ. შავი მთვარე ნეგატიურად მოქმედებს, რაც განაპირობებს იმ არასახარბიელო ვითარებას, რაც, კონკრეტულად, საპატრიარქოში მიმდინარეობს.

ლილიტი მაცდუნებელი ძალაა, ბოროტი, პროვოკატორი, ინტრიგების მხლართველი, ის დიდ სიბინძურეებს კისრულობს. ფიქტიური პლანეტა ლილიტი თევზის ზოდიაქში არსებული საქართველო (ლილიტის ანუ შავი მთვარის გავლენაშია), ხოლო თევზები რელიგიურ სპექტრს განაგებენ, ამიტომაც ხდება უთანხმოებები ამ მიმართულებით. დიდი ალბათობით, ამოტივტივდება ყველა ტყუილი და ყველა სიმართლე, რომელიც ერთმანეთისგან ჩვენ, ხალხმა უნდა გავარჩიოთ.

ნოემბერი შედარებით წყნარი იქნება, ვიდრე ოქტომბერი იყო, თუმცა მორიელის პერიოდი ის დროა, როცა როგორც ვთქვი, ყველანაირი ტყუილ-მართალი გამჟღავნდება და ნათელი გახდება.

მორიელში არსებული პლანეტარული განლაგებები, თუნდაც მზე, მოიტანს ყველაფრის სააშკარაოზე გამომჟღავნებას.

დგება მერკურის რეტროგრადული, უკუმავლობის პერიოდი, რაც მოიტანს ძველი პრობლემების ამოტივტივებას, პრობლემებისა, რომლებიც დაიწყო გაზაფხულზე ან ზაფხულში და მოხდება ამ პრობლემების სააშკარაოზე გამოიტანა.

ამ პერიოდში არაფერი სერიოზული არ უნდა დაიწყოთ, ეს არის ინფორმაციების მიღებისა და გაანალიზების დრო.

— **მოდით, კონკრეტულ პოლიტიკურ პირებზე ვისაუბროთ. როგორია, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის ასტროლოგიური პროგნოზები, ამ მიმართულებით რა შანსები არსებობს მის ასტროლოგიურ რუკაში?**

— ბიძინა ივანიშვილს კვლავ დიდი შანსები აქვს. ის რჩება ქართულ პოლიტიკაში და წარმატებებსაც მიაღწევს.

„ქართულ ოცნებაც“ იმის მიუხედავად, რომ ბევრნაირ კრიზისს განიცდის, არ მგონია, რომ დაეცეს.

ბიძინა ივანიშვილის პირადი რუკის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ მას ყოველთვის აქვს გამოსავალი და ის, ამ გამოსავალს ყოველთვის პოულობს.

იგი ბევრად უფრო ჭკვიანია, ვიდრე მისი წინამორბედი იყო. უფრო ღრმა ფენომენია, ვიდრე, ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იმის მიუხედავად, რომ ქარიზმატული იყო, უფრო ზედაპირული ტიპაჟი გახლდათ.



საერთოდაც, დღეს ჩვენ 90-იან წლებში დაშვებულ შეცდომების შედეგებს ვიმკით:

ბიძინა ივანიშვილი გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც გამოიყვანს კრიზისებიდან „ქართულ ოცნებას“.

— **ახლანდელი ასტროლოგიური რუკის მიხედვით საქართველოს როგორი პერსპექტივა აქვს?**

— როგორც გითხარით, იმ თარიღის მიხედვით, რომლითაც საქართველოს სახელმწიფოს ხელახალი დაბადება დარეგისტრირდა, ჩვენს ქვეყანას ბევრი სირთულეები ელოდება წინ.

საქართველოს დამოუკიდებლობა ხელახალი თარიღით უნდა გამოცხადდეს.

როცა სახელმწიფოს ისეთი ტიპის კრიზისები ეწყება, როგორიც დღეს გვიდგას, როგორც წესი, სახელმწიფოდ გამოცხადების ხელახალი თარიღი ხდება აუცილებელი. ასე გააკეთა საფრანგეთმა, ინგლისმა და სხვა ქვეყნებმაც. ხელახლა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა, შეცვალეს კონსტიტუცია და ა.შ. საჭიროა ამ საკითხებში ასტროლოგების ჩართვა, შესაბამისი მითითებების გათვალისწინებით, თორემ, როგორც ვხედავთ, საქართველო დღეს იქცა მზაკვრების და აფთრული ბუნების მქონე პერსონების პოლიგონად.

მე ვფიქრობ, უნდა შეიცვალოს ქვეყნის ჰერალდიკა, დროშაზე უნდა იყოს ბორჯღალი, აუცილებლობას წარმოადგენს ბოლნური ჯვარი და ა.შ. დიდი მნიშვნელობა აქვს ამას.

თუ გავითვალისწინებთ ასტროლოგიური, ეზოთერული კუთხით რჩევებსა და დარიგებებს, გაძლევთ გარანტიას — საქართველო კვლავ ძლიერად დადგება ფეხზე და აღორძინდება. საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ ის, დროის მცირე მონაკვეთში, გაიმართოს. ამისთვის არ არის საჭირო, როგორც ამბობენ დიდძალი თანხები. ჩვენს ქვეყანას აქვს, გადარჩენის და გაძლიერების. როგორც სულიერი, ასევე ბუნებრივი რესურსები.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 74; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983